პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 ივლისი ხუთშაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 166 (15987)



1974 და 1975 წლების დავალებები ფრიად დაძაბულია. მაგრამ მაინც უნდა შესრულდეს. ამისათვის საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია, მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, მაღალნაყოფიერი შრომა, დისციპლინისა და ორგანიზებულობის ამაღლება. არც ერთი სამუშაო დღე, არც ერთი სამუშაო საათი არ უნდა დაიკარგოს ფუჭად.

**ლ. ი. ბრეჟნევი.**

# დამკვრელურად ვიშრომოთ წლის მეორე ნახევარშიც!

## კვლავ პირველ ადგილზე

რუსთავი. (საქ. კორ. ზ. მერკვილაძე). მეტალურგებმა კვლავ გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვითაც პირველი ადგილი დაიკავეს, ამასთან მიიღეს პირველი ფულადი პრემია. ამდენად გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ქართველ მეტალურგებს პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით ჰქონდათ მიკუთვნებული, შენარჩუნებულია მეორე კვარტალშიც.

რუსთაველმა მეტალურგებმა ექვს თვეში გეგმის ზევით გამოუშვეს 3 მილიონ 700 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, ხოლო მომხმარებელს მიაწოდეს ამდენივე რაოდენობის ჭარბი პროდუქცია.

ქართველი მეტალურგები პირობას დებენ, რომ წლის მეორე ნახევარში ამ წარმატებებს არა მარტო შეინარჩუნებენ, არამედ კიდევ უფრო განამტკიცებენ.

## მშენებლები დაწინაურდნენ

თელავი. (საქ. კორ. ა. თვალიაშვილი). — ვაშენოთ სწრაფად, ხარისხიანად, — ამ დევიზით შრომობს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის თელავის № 4 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ი. ბეჟუაშვილი) კოლექტივი.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით და მუშაობაში პროგრესული მეთოდების დანერგვით თელაველმა მშენებლებმა ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის 6 თვის დავალება დიდი გადაჭარბებით — 114,2 პროცენტით შეასრულეს, გეგმით გათვალისწინებული 1.253 ათასი მანეთის ნაცვლად შეასრულეს 1.437 ათასი მანეთის სამუშაოები.

თელაველი მშენებლების მტკიცე გადაწყვეტილებაა წლიური გეგმა 11 თვეში შეასრულონ.

## სიტყვას ასრულებენ

თბილისი. პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა ხუთწლედის დარჩენილი დრო ხარისხის გაუმჯობესების პერიოდად გამოაცხადა. განმსაზღვრელი წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირობას ვასრულებთ. პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის დავალება 104,4 პროცენტით შევასრულეთ, მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მივყიდეთ 774 ათასი მანეთის პროდუქცია, საერთო პროდუქციის გამოშვებას 1.548 ათასი მანეთით გადავაჭარბეთ.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა 22,5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვება — 29,9 პროცენტით.

ეს რედაქციას აცნობა პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორმა მ. გეგიძემ.

# საზღვაო ტრანსპორტის მუშაკებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ მეზღვაურებს, ნავსადგურის მუშაკებს, გემთშემკეთებლებს — საზღვაო ფლოტის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა ყველა კოლექტივს ერთიანი დარგის — საზღვაო ტრანსპორტის შექმნის 50 წლისთავს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვის, ჩვენი ხალხის თავდადებული შრომის შედეგად საბჭოთა საზღვაო ტრანსპორტი გადაიქცა თანამედროვე გემებითა და სხვა პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილ სახალხო მეურნეობის მაღალგანვითარებულ დარგად. ჩვენი სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე სავაჭრო ფლოტის მეზღვაურები მუდამ იდგნენ სოციალისტური მშენებლობის მოწინავე მიჯნებზე. დიდი შრომითი ღვაწლი დასდეს მათ ჩრდილოეთის საზღვაო გზის ათვისებას პირველი ხუთწლედების წლებში. დიდი სამამულო ომის პერიოდში მეზღვაურებს გადაჰქონდათ ტვირთები ფრონტისათვის, მონაწილეობდნენ დესანტების გადასხმაში, საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებთან ერთად გმირულად ებრძოდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს.

საზღვაო ტრანსპორტის მუშაკები, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, პირნათლად დგანან მეცხრე ხუთწლედის შრომით ვახტზე. საბჭოთა ხალხი ამაყობს სავაჭრო ფლოტის მეზღვაურებით, რომლებიც, ასრულებენ რა თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას, სოციალისტური სამშობლოს ღირსეული წარმომადგენლები არიან საზღვარგარეთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ საზღვაო ტრანსპორტის მუშაკები კვლავაც მტკიცედ იბრძოლებენ ფლოტის, ნავსადგურების, გემთშემკეთებელი და სხვა საწარმოების მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი განვითარების, სოციალისტური შეჯიბრების სრულყოფის საფუძველზე ახალ წარმატებებს მოიპოვებენ და ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წარმატებებს თქვენს საპატიო შრომაში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

## ლენინის ორდენი — ვილი შტოფს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვილი შტოფი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

16 ივლისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ნ. ვ. პოდგორნიმ ვილი შტოფს გადასცა საბჭოთა სახელმწიფოს მაღალი ჯილდო.

ნ. ვ. პოდგორნიმ და ვილი შტოფმა ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს.

მაღალი ჯილდო და დაბადების 60 წლისთავი ვილი შტოფს გულითადად მიულოცეს ამხანაგებმა თ. დ. კულაკოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, კ. თ. კატუშევმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა მ. ა. ლესეჩკომ და ნ. ა. ტიხონოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ.

ჯილდოს გადაცემის შემდეგ ამხანაგთა ნ. ვ. პოდგორნისა და ვილი შტოფის საუბარი, რომელმაც ძმური მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის საზღვაო ტრანსპორტის (საზღვაო ფლოტის) ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საზღვაო ტრანსპორტის განვითარებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის, სახალხო-სამეურნეო და საგარეო-სავაჭრო ტვირთების გადაზიდვის უზრუნველყოფისათვის და შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის საზღვაო ტრანსპორტი (საზღვაო ფლოტი) დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1974 წ. 17 ივლისი.

## პოლონეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოსკოვში

17 ივლისს გამოფენის „სოციალისტური პოლონეთის 30 წლის“ გახსნაზე მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პ. იაროშევიჩის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ბაბიუხი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო ვაჭრობისა და საზღვაო მეურნეობის მინისტრი კ. ოლშოვსკი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ბელორუსიის ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. კირილინი და მ. ა. ლესეჩკო, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

## რწმუნების სიგელების გადაცემა

ერაყის რესპუბლიკის ახალმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საბჭოთა კავშირში მურტადა საიდ აბდელ ბაქიმ 16 ივლისს კრემლში რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის.

ელჩს თან ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, მრჩეველი მ. ჰალილ ალ-შალაბი, საელჩოს სამხედრო ატაშე ბრიგადირი აბდულ ლატიფ ალ-დური, სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. მ. პეგოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

რწმუნების სიგელების გადაცემის დროს მურტადა საიდ აბდელ ბაქიმ და ნ. ვ. პოდგორნიმ სიტყვები წარმოთქვეს.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ნ. ვ. პოდგორნისა და მურტადა საიდ აბდელ ბაქის შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

(საკდესი).

## ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების კრებული

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების, სიტყვებისა და სტატიების კრებული „მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შესახებ“. კრებულში მთლიანად ან ნაწილობრივ შევიდა 1954-1974 წლების დოკუმენტები და მასალები, რომლებშიც გაშუქებულია იდეოლოგიის, კულტურულ-აღმზრდელობითი და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები.

წიგნში ვეცნობით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალმხრივ გამოცდილებას თანამედროვე პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის გავრცელებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებაში.

კრებულში შესულ სიტყვებსა და სტატიებში დიდი ადგილი უჭირავს კომუნისტურ მშენებლობაში პარტიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას — ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანას, ადამიანისა, რომლის უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი ნიშანია საზოგადოებრივი შეგნების, კულტურისა და განათლების უმაღლესი დონე.

პარტიული კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადება, მშრომელთა უფართოესი მასებისათვის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, სამეცნიერო დაწესებულებების, სახალხო განათლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ლიტერატურისა და ხელოვნების ხელმძღვანელობა, ბურჟუაზიული და რევიზიონისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ შეტევითი ბრძოლა — ეს და სხვა საკითხები ყოველმხრივ აისახა ლ. ი. ბრეჟნევის კრებულში შესულ სიტყვებსა და სტატიებში. (საკდესი).

## ჰ. მისი სსრ კავშირში ჩამოვიდა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 16 ივლისს საბჭოთა კავშირში ოჯახთან ერთად დასასვენებლად ჩამოვიდა გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ჰერბერტ მისი.



## მ. შოლოხოვის 70 წლისთავისათვის

იმასთან დაკავშირებით, რომ 1975 წლის მაისში სამოცდაათი წელი უსრულდება გამოჩენილ საბჭოთა მწერალს მ. ა. შოლოხოვს, შეიქმნა სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტი ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის მოადგილეები არიან გ. მ. მარკოვი, ს. ვ. მიხალკოვი, მ. ბ. ხრაპჩენკო. საიუბილეო კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი. (საკდესი).

## გამარჯვებული კომბაინერები

სურათებზე: ზემოდან — სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი ცეზარ მილაშვილი, ცენტრში — სიღნაღის რაიონის ს. ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე კომბაინერი გივი ბეგაშვილი, რომელიც მოსავალს ყოველდღიურად იღებდა 10-12 ჰექტარზე და ჰექტარზე ლეწავდა 30-35 ცენტნერ ხორბალს. ქვემოთ — ხორბლის აღება ტიბაანის კოლმეურნეობაში.

„კომუნისტის“ სპეცკორესპონდენტის ს. ბილაძის ფოტო.



## „სალუტ-3“ სადგურის სამუშაო დღეები

ფრენის მართვის ცენტრი, 17 ივლისი. (საკდესი). მორიგი სამუშაო დღის განმავლობაში კოსმონავტები პაველ პოპოვიჩი და იური არტიუხინი ასრულებდნენ დედამიწის ზედაპირისა და ატმოსფეროს კვლევის ექსპერიმენტებს მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის. ისინი იღებდნენ დედამიწის ზედაპირის ცალკეული რაიონების ფოტოსურათებს ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრის სხვადასხვა ზონაში.

ტექნიკური ექსპერიმენტების პროგრამით კოსმონავტებმა განაგრძეს სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემის ელემენტების, კერძოდ ატმოსფერული ტენის კონდენსატიდან წყლის რეგენერაციის ბლოკის გამოცდა. ცხელი და ცივი რეგენერირებული წყალი გამოიყენეს სუბლიმირებული პროდუქტებიდან საჭმლის მოსამზადებლად.

„სალუტ-3“ სადგურიდან იღებდნენ დედამიწის ზედაპირის და ატმოსფეროს ფოტოსურათებს ატლანტის ოკეანის აკვატორიაში, სადაც ამჟამად მიმდინარეობს გლობალური ატმოსფერული პროცესების კომპლექსური კვლევა „ტროპექს-74“ საერთაშორისო პროგრამით.

ამასთანავე იმავე რაიონის ფოტოსურათს იღებდა მეტეოროლოგიური თანამგზავრი „მეტეორი“. მიღებული სხვადასხვა მასშტაბის სურათები დიდად საინტერესოა მეცნიერული თვალსაზრისით.

ამხანაგები პაველ პოპოვიჩი და იური არტიუხინი თავს კარგად გრძნობენ. „სალუტ-3“ პილოტირებული სამეცნიერო სადგური ფრენას განაგრძობს.

## 140.000 ტონა მარცვლეულისათვის

# პური — სახელმწიფოს ბეღელში

- ☐ სიღნაღელები უპატაკებენ პარტიას, სამშობლოს: გეგმა ორმაგად შესრულდა, სახელმწიფო ბეღელშია 18.590 ტონა პური.
- ☐ ჰექტარზე ნაცვლად 19 ცენტნერისა მიღებულია 24 ცენტნერი ხორბალი!
- ☐ ვალდებულების გადამეტებით იქნება 5.000 ტონა პური!
- ☐ მარტო ბოდბისხევის კოლმეურნეობამ 5.000 ტონა მარცვალი მისცა სამშობლოს!

## სიღნაღელმა მხვნელ-მთესველებმა პირობა გაანაღდეს

გვესაუბრება პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი

ვ. ქარუმიძე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცამეტე პლენუმის გადაწყვეტილებებით, პირადად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მზრუნველობით აღფრთოვანებულმა სიღნაღის რაიონის მშრომელებმა, — თქვა „კომუნისტის“ თანამშრომელთან საუბარში პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქარუმიძემ, — დიდ წარმატებას მიაღწიეს მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების საქმეში. გადამეტებით შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება, ნაცვლად 10.000 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 18.590 ტონა პურეული.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებს თავთავიანი კულტურები ეთესათ 19.811 ჰექტარზე, აქედან ხორბალი — 13.435 ჰექტარი, ხოლო დანარჩენი ქერი. ჩვენმა მემინდვრეებმა და მექანიზატორებმა მთელი წლის მანძილზე ჩინებულად მოუარეს საშემოდგომო ნათესებს და საუცხოო მოსავალი მიიღეს. პურეული უკვე აღებულია 18.113 ჰექტარზე, რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 24 ცენტნერი პურეული. აუღებელი ფართობები უფრო უხვმოსავლიანია. ასე რომ მოსავლიანობა უფრო მოიმატებს.

საქართველოს კომუნისტთა წერილმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი აღაფრთოვანა ჩვენი რაიონის მშრომელები და ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრეს. ვალდებულების გადამეტებით 5.000 ტონა პურეული მიეყიდება სახელმწიფოს და ამით მარცვლეულის მიყიდვის დავალება (სიმინდის ჩათვლით) ორმაგად შესრულდება. გარდა ამისა სახელმწიფოს მივყიდით დიდძალ სიმინდს. ასე რომ მარცვლეულის დამზადების ვალდებულებასაც თითქმის ორმაგად შევასრულებთ. შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ ამდენი მარცვალი რაიონს არასოდეს არ მიუყიდია სახელმწიფოსათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ აქედანვე ვზრუნავთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მოსავლისათვის: კოლმეურნეობებმა სათესლედ გამოჰყვეს მაღალხარისხოვანი ხორბალი და ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მისი კონდიციამდე დაყვანა.

მემინდვრეობა და მეცხოველეობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან. ჩვენ მიზნად დავისახეთ 5.000 ჰექტარ ნაწვერალზე დაგვეთესა სიმინდი. ეს ვალდებულება სულ მალე შესრულდება.

ბევრი კოლმეურნეობის მემინდვრეებმა გამოიჩინეს თავი სიუხვით, მაგრამ ბოდბისხეველებს (თავმჯდომარე გ. გელაშვილი) მაინც ვერავინ შეედრება. მათ ნაცვლად 625 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.200 ტონა პური. ვაქირის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. გოგოლაშვილი) ნაცვლად 328 ტონისა — 1.044 ტონა, ტიბაანის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ჯ. ხატიაშვილი) ნაცვლად 466 ტონისა — 1.047 ტონა, ნუკრიანის „პარიზის კომუნის“ სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე რ. ფირაშვილი) ნაცვლად 243 ტონისა — 738 ტონა, ხოლო ულიანოვკის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. მაკაროვი) ნაცვლად 308 ტონისა — 538 ტონა.

ბრიგადებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდიან ბოდბისხეველების გ. გოზალიშვილისა და ა. ბოქოლიშვილის, ნუკრიანელის კ. მაზიაშვილის, ვაქირელის რ. დემეტრაშვილის ბრიგადები.

კომბაინერთა სოცშეჯიბრება გაზეთ „კომუნისტის“ გარდამავალი ვიმპელისა და დროშის მოსაპოვებლად ნამდვილად სახალხო, ორგანიზებულ შეჯიბრებად გადაიქცა. ვიმპელები დაიმსახურეს მ. გოგინაშვილმა (სამჯერ), კ. ბეგიაშვილმა (ორჯერ), გ. ლათიბაშვილმა, ვ. მატიაშვილმა, ლ. ბენაშვილმა, დ. ოტიაშვილმა, ვ. ლაზარიაშვილმა, მძღოლებს შორის იმარჯვეს ზ. მამაიაშვილმა, ლ. მათეშვილმა და ბევრმა სხვამ.

აქვე მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიო დუშეთის, თიანეთის, ახალქალაქის რაიონებიდან ჩამოსული კომბაინერები და თელავის, ხელვაჩაურის, სოხუმის, ზესტაფონის, ახალქალაქის, ჩხოროწყუს რაიონებიდან ჩამოსული ავტომძღოლები, რომლებმაც ნამდვილად გმირულად იმუშავეს მოსავლის აღებასა და დაბინავებაზე.

## ძალ-ღონეს დაუზოგავად

სოციალისტურ შეჯიბრებაში როდესაც ვებმებოდით, ვალდებულება ვიკისრეთ ჰექტარზე 23 ცენტნერი პურეული მიგვეღო და სახელმწიფოსათვის 625 ტონა მარცვალი მიგვეყიდა. ჩვენმა მემინდვრეებმა და მექანიზატორებმა თავიანთი გმირული შრომით გაგვაოცეს. 1.884 ჰექტარი ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 33 ცენტნერი მარცვალი. სახელმწიფოს მივყიდეთ 4.200 ტონა პური. კიდევ მივყიდით 1.000 ტონას. ეს ზოგიერთი მემინდვრეობის რაიონის მაჩვენებლებზე გაცილებით მეტია.

ვამაყობთ ჩვენი მემინდვრეებითა და მექანიზატორებით, ისინი ენერგიას არ ზოგავენ სიუხვის შესაქმნელად. მომავალში უფრო მაღალი ზღუდეების დაპყრობაზე ვფიქრობთ.

**გ. გელაშვილი,**

სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## დაფასებული შრომა

გაზეთ „კომუნისტის“ გარდამავალი ვიმპელი წლეულს რაიონში პირველად მე დავისაკუთრე. მაგრამ მჯობნის მჯობნი განა ქვეყნად დალეულა! სიმართლე უნდა ვთქვა, როცა ერთ დღეს სხვამ გაიმარჯვა და ვიმპელი ჩამოხსნეს ჩემი კომბაინიდან, ძალზე შევწუხდი და მიზნად დავისახე ისევ მომეპოვებინა, მას შემდეგ ორჯერ კიდევ დავიმსახურე ეს ჯილდო.

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა ამას წინათ მინდვრად რაიონისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები გვესტუმრნენ და ჩემი დაბადების დღე კალოზე აღნიშნეს. ჩემს საპატივცემოდ მოეწყო კონცერტი, გადმომცეს ფასიანი საჩუქარი.

მადლობა პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ასე ჩინებულად აფასებენ მშრომელ კაცს.

**მ. გოგინაშვილი,**

ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ კომბაინერი.

## ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ!

18 ივლისს 17 საათზე ჭადრაკის სასახლეში (ს. მ. კიროვის სახ. პარკი, ლენინის ქ. 87) გაიმართება მორიგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში „სსრ კავშირის შექმნის ორმოცდაათი წლისთავი“ წამოყენებულ კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემებზე.

მოხსენებით თემაზე: „სოციალისტური შეჯიბრება, მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარება პარტიის ეკონომიური პოლიტიკის წარმატებით განხორციელების საწინდარია“ — გამოვა საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. თ. ი. მოსაშვილი.

ლექციას თემაზე: „საბჭოთა პროფკავშირები ინტერნაციონალური აღზრდის სკოლაა“ — წაიკითხავს პროფესორი ზ. ა. ჟვანია.

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტი.**

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

# პირველადი პარტიული ორგანიზაცია და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

**ქუთაისი, 17 ივლისი. (საქინფორმის კორ.).** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „**საჭიროა, რომ არა მარტო ჩვენი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, არამედ, მთელი პარტიული კადრებიც დიდად ზრუნავდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. ამ საკითხის მნიშვნელობას განსაზღვრავენ როგორც ჩვენი დღევანდელი სამეურნეო პრაქტიკის საარსებო მოთხოვნილებანი, ისე ხვალინდელი დღის მოთხოვნებიც**“.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა, ქალაქის საწარმოთა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ საწარმოთა ხელმძღვანელობასთან, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან ერთად და ჩვენი ქვეყნის მსხვილი საწარმოებისა და ინსტიტუტების დახმარებითა და ხელშეწყობით მიაღწიეს მნიშვნელოვან გარდატეხას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა პრაქტიკულ დანერგვაში.

იმაზე, რაც მიღწეულია ამ დარგში და რა ამოცანებია დასახული პარტიული ორგანიზაციების წინაშე, იმსჯელეს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელსაც წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ბ. ლუტიძის მეთაურობით.

კონფერენციის თემა იყო — „**პირველადი პარტიული ორგანიზაცია და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი**“. იგი მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული და საბჭოთა მუშაკების მომზადების მუდმივმოქმედმა კურსებმა, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის პარტიული აქტივისათვის. კონფერენციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მეზობელი რაიონების ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ შ. ყარყარაშვილმა.

კონფერენციაზე მოისმინეს მოხსენებანი: „სკკპ XXIV ყრილობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლაში პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“, „ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე პარტიული ზემოქმედების ფორმები და მეთოდები“, „ტექნიკური პროგრესი და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები“, „ტექნიკური პროგრესი და მისი განვითარების პერსპექტივები ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში“, „სამეცნიერო კვლევის განვითარების საკითხები უმაღლეს სკოლაში და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“ და მთელი რიგი სხვა მოხსენებები. მოხსენებები გააკეთეს საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ს. ხაბეიშვილმა**, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა დაპროექტების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა **ა. დადუნაშვილმა**, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა **თ. ზენძიძემ**, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ნ. ვალიშვილმა**, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა **ზ. ხვიჩიამ**, საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორთა ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა რაციონალიზატორმა **ი. ხაზარაძემ** და სხვებმა.

სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე ღრმად გაანალიზეს პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობა ქალაქის საწარმოებში. აღინიშნა, რომ ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ სახელმწიფო საწარმოო გეგმების შესრულებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. დიდია კომუნისტთა ავანგარდული როლი ბრძოლაში ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისათვის.

1973 წელი პირველი იყო ამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში, როცა ქუთაისის ყველა საწარმომ შეასრულა სახელმწიფო გეგმები. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა მიაღწია მნიშვნელოვან დადებით ცვლილებებს, როგორც საწარმოთა ხელმძღვანელობაში, ისე პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში, დარაზმა ისინი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ქუთაისელი მშრომლები იყვნენ რესპუბლიკაში შემხვედრი გეგმების მიღების ინიციატორები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს თაოსნობა და პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა ყოველი ღონისძიებით გაავრცელონ იგი.

გადიდებული შემხვედრი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგად ქალაქის მრეწველობა მეოთხე, განმსაზღვრელი წლის ექვს თვეში გავიდა დონეზე, რომელიც ხუთწლიანი გეგმის შესრულების გარანტიას იძლევა.

ქუთაისის საწარმოებში მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა, უფრო სწრაფად და ფართოდ რომ ინერგებოდეს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მთელ რიგ საწარმოებში ჩარხებისა და მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილი მორალურად და ფიზიკურად მოძველებულია, შემცირებულია მათი მწარმოებლობა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხნის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით საწარმოში ახლის, პროგრესულის დანერგვისათვის, მისი შემდგომი ტექნიკური აღჭურვისათვის. ამ საწარმოს კომუნისტებმა ფართოდ გააჩაღეს ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის. პარტიული კომიტეტი სისტემატურად ზრუნავს, რომ წარმოებაში დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე ქარხნის საამქროებში დაინერგა ცხრა მექანიზებული ხაზი. მოდერნიზებულია 187 ჩარხი, საექსპლოატაციოდ არის გადაცემული 98 დიდმწარმოებლური აგრეგატული ხაზი და უნივერსალური ჩარხი.

ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმების შესაბამისად განხორციელდა 1.132 ღონისძიება, რომლებმაც საწარმოს მისცეს ორი მილიონი მანეთი პირობითი წლიური ეკონომია. მარტო შარშან შეიცვალა და გაუმჯობესდა 1.993 ტექნოლოგიური პროცესი, ახალი ტექნოლოგიით სრულდება 987 ოპერაცია.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე პარტიული კომიტეტი და მასთან შექმნილი ახალი ტექნიკისა და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კომისია სისტემატურ კონტროლს უწევენ შემუშავებულ კონკრეტულ ღონისძიებათა პრაქტიკულ განხორციელებას.

ყოველი წლის დამდეგს ქარხანაში აანალიზებენ განვლილი წლის მუშაობის შედეგებს, ადგენენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გეგმებს, რომლებსაც პარტიული კომიტეტის სხდომაზე ამტკიცებენ. ქარხნის პარტიული კომიტეტი და საამქროებისა და განყოფილებების პარტიული ორგანიზაციები თავიანთ პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას წარმართავენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში კომუნისტთა როლის, კოლექტივის თვითეული წევრის პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებისათვის. 1972 წელს ავტოსაწევრისა და ნახევრად მისაბმელის კონსტრუქციაში შეტანილი იყო 175 ცვლილება. პარალელურად სწრაფი ტემპით წარმოებს ახალი ტიპის ავტოსაწევრის შექმნის სამუშაოები.

ქარხნის კომუნისტთა მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 73 დასახელების დეტალებს მიენიჭა ხარისხის ნიშანი, „კაზ-608“ ავტოსაწევარსა და „კაზ-717“ ნახევრად მისაბმელს, აგრეთვე „კაზ-120“ ძრავას სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებით სამი წლით მიენიჭა პირველი კატეგორია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ ელექტრომექანიკურ, ლითოფონის ქარხნებს, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატს, მაუდის ფაბრიკას, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებას, „პროექტხელსაწყოს“ სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს. საწარმოებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისათვის დიდ მუშაობას ეწევა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიული კომიტეტის დაუცხრომელი ბრძოლის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა არტეზიული ტუმბოების სიმძლავრე, გაუმჯობესდა ხარისხი და საიმედოობა. მოდერნიზაციის მეოხებით ამაღლდა აგრეთვე სამახტი ელმავლებისა და ელექტროსატვირთელების გამოყენების კოეფიციენტი.

საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად აწყობენ თეორიულ კონფერენციებს, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და სხვა საკითხებზე. განიხილავენ რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს მუშაობას, აანალიზებენ სიახლეთა დანერგვის ღონისძიებებს და იძლევიან საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის რეკომენდაციებს.

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში ბრძოლა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის წარმოებს სამი მიმართულებით: წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვის მიმართულებით, რომელიც ითვალისწინებს მოძველებული, ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი მოწყობილობის შეცვლას უახლესი დიდმწარმოებლური მანქანებით, აგრეთვე მოწყობილობის მოდერნიზაციის და საწარმოო შენობებისა და ნაგებობების რეკონსტრუქციისა და გაფართოების მიმართულებებით. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე გაერთიანებაში დაინერგა 587 ახალი დიდმწარმოებლური ჩარხი, რის შედეგად მიღებულია 737 ათასი მანეთი ეკონომია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. წარმოების მოცულობის ზრდამ შეადგინა 76,1 პროცენტი.

ქალაქის პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს კარგად აქვთ შეგნებული, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპს განსაზღვრავს არა მარტო ახალ ტექნიკურ გადაწყვეტათა რაოდენობა და დონე, არამედ მათი ათვისების ვადებიც. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ერთიორად გაიზარდა დანერგილ წინადადებათა რიცხვი. ვარაუდობენ, რომ წლის ბოლომდე ქუთაისში რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადებით დაიზოგება 3,5 მილიონი მანეთი. ტექნიკური სიახლენი მოითხოვენ მეცნიერულ გადაწყვეტებს, ამიტომ ქალაქის რაციონალიზატორებს მჭიდრო კავშირი აქვთ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერებთან.

კონფერენციაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია. მან აღნიშნა, თუ რა დიდი, ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებებს, შეეხო ქუთაისის საწარმოთა მუშაობაში არსებულ წარმატებებსა და ნაკლოვანებებს. ამხ. ვადაჭკორიამ კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო კადრების მომზადების საკითხებს, მეცნიერულ-ტექნიკურ დაწესებულებათა, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მუშაობის გაუმჯობესების საჭიროებასა და ამ საქმეში პარტიულ ორგანიზაციათა როლის ამაღლებას.

კონფერენციის შედეგები შეაჯამა ამხ. შ. ყარყარაშვილმა.

კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში.

### მერხიდან — წარმოებაში

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მიდიან ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდები შახტებსა და მაღაროებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში სამუშაოდ. ერთ-ერთი მათგანია დარეჯან ტურძილაძეც, რომელმაც სკოლის დამთავრების შემდეგ ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის გამამდიდრებელ ფაბრიკას მიაშურა.

ამჟამად იგი კლასიფიკატორის მემოტორედ მუშაობს და დაუზარელი, მუყაითი შრომით კოლექტივში პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. დ. ტურძილაძე ამას წინათ შახტის პარტიულ კრებაზე ერთხმად მიიღეს სკკპ წევრობის კანდიდატად. შრომაში სახელგანთქმული ბევრი ახალგაზრდის გზა დაწყებულა ასე აქ, ორჯონიკიძის სახელობის შახტში. ამ ტრადიციას დარეჯან ტურძილაძეც აგრძელებს.

სურათზე: დ. ტურძილაძე. ბ. შეყილაძის ფოტო.

## „კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

### დაისაჯნენ მუშაობაში დაშვებული შეცდომებისათვის

### საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის სხდომა

**1974 წლის** 2 ივლისის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ი. თედიაშვილის კრიტიკული წერილი „გიყვარდა შვილო, ურემი....“, რომელშიც კერძოდ, აღნიშნული იყო წულუკიძის რაიონში დაშვებული დარღვევები პირადი სარგებლობის ავტომანქანების შეძენასა და გაფორმებაში, გამოვლენილი იყო მძიმე ხასიათის დანაშაული.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის მუშაკებმა ამასთან დაკავშირებით შეამოწმეს წულუკიძის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ოპერატიული სამსახურის მუშაობის მდგომარეობა და შემოწმების შედეგები გაიტანეს სამინისტროს კოლეგიის სხდომის განსახილველად.

როგორც კოლეგიაზე აღინიშნა, **დადასტურდა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში მოყვანილი ფაქტები.** დადგენილია, რომ წულუკიძის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების პირადმა შემადგენლობამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად შეასუსტა ოპერატიულ-პროფილაქტიკური მუშაობა. ამის შედეგად რაიონში გაიზარდა სისხლისსამართლებრივად დასასჯელ ქმედობათა რიცხვი. განსაკუთრებით გახშირდა ისეთი საშიში დანაშაულები, როგორიცაა მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ქურდობა და სხვ. განყოფილებას ერიცხება გაუხსნელი დანაშაულები. სუსტად წარმოებს ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას არ მიუღია ქმედითი ღონისძიებანი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

ავტოინსპექტორი ვ. ფანცულაია უპრინციპობას იჩენდა იმ პირთა მიმართ, რომლებიც სისტემატურად ყიდულობდნენ და ყიდიდნენ ავტომობილებს, შემათანხმებლობის პოზიციას ადგას სპეკულანტთა გამოვლინების ნაცვლად. ასევე უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ მოვალეობას წულუკიძის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლები ო. ბახტაძე და ვ. თალაკვაძე. დამნაშავე ხუნწალიამ, რომელმაც რესტორანში ბოროტი ხულიგნობა ჩაიდინა, ისარგებლა ამ გამომძიებელთა დოყლაპიობით და მიიმალა, შემდეგ კი კვლავ ჩაიდინა ორი მძიმე დანაშაული, მათ შორის მკვლელობა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით ავტოინსპექტორი ვ. ფანცულაია მუშაობაში დაშვებული სერიოზული შეცდომებისათვის დათხოვილია შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, თანამდებობიდან მოხსნილია გამომძიებელი ო. ბახტაძეც.

კოლეგიის დადგენილების თანახმად, განხორციელდება მთელი რიგი ოპერატიული ღონისძიებანი წულუკიძის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაობის გასაუმჯობესებლად. (საქინფორმი).

* * *

### სიცხე, დამსვენებელი, მომსახურება

**სარეიდო** კრიტიკული მასალა, რომელიც სათაურით „სიცხე, დამსვენებელი, მომსახურება“ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა, ეხებოდა საგარეუბნო კურორტებზე დამსვენებელთა მომსახურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. ამასთან დაკავშირებით რედაქციას შემდეგი აცნობეს:

**თბილისის საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო:** სტატიაში აღნიშნული ფაქტები სამმართველომ დადასტურებულად ცნო და დასახა ღონისძიებანი წყნეთის საკურორტო ზონაში დამსვენებელთა ვაჭრობითა და საზოგადოებრივი კვებით მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ამასთან გაფრთხილებული არიან ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ტრესტების ხელმძღვანელები, რომ ისინი პირადად აგებენ პასუხს დამსვენებელთა ვაჭრობითა და საზოგადოებრივი კვებით მომსახურების საქმეში. ზაფხულის პერიოდში წყნეთის საკურორტო ზონაში დამსვენებელთა ვაჭრობით მომსახურების საქმეში პრაქტიკული დახმარების გასაწევად მიმაგრებული არიან სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები.

**გარდაბნის რაიკოოპკავშირის გამგეობა:** გაცნობებთ, რომ წერილში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით ჩატარდა გამგეობის სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კიკეთსა და კოჯორში საკურორტო სეზონის პერიოდში ხილით და ბოსტნეულით მომარაგების საკითხი. იმ პირებს, რომლებმაც დროულად ვერ უზრუნველყვეს კოჯრის ზონის სისტემატური მომარაგება ბოსტნეულით და ხილით, დაედოთ ადმინისტრაციული სახდელი — კოჯრის ხილბოსტნეულის მაღაზიის გამგე-გამყიდველს ვ. ნიაზაშვილს და სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველ ე. ბოჭორიშვილს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია. კოჯრის სასურსათო მაღაზიები და ბოსტნეულის მაღაზია სისტემატურად მარაგდება ხილით და ბოსტნეულით. 29-30 ივნისს დასვენების დღეებში ეგრეთწოდებულ „თემურაღოვის ტყის“ მიდამოებში, ბეთანიასთან, 4 სხვადასხვა ადგილზე მოეწყო სასურსათო საქონლით, გამაგრილებელი წყლებით, ხილით და ბოსტნეულით გასვლითი ვაჭრობა.

რაც შეეხება კიკეთში სასადილოს გახსნას, საკითხი დასმულია ცეკავშირის გამგეობის წინაშე და დადებითად გადაწყდება. კოჯორში მიმდინარე სეზონისათვის გათვალისწინებულია აშენდეს სახაჭაპურე-პავილიონი, სადაც სხვა პროდუქტებთან ერთად გაიყიდება ნაყინი და გამაგრილებელი წყლები.

### 20-21 ივლისს სიმინდისა და სხვა სათოხნი კულტურების რესპუბლიკური დათვალიერება

## სიმინდის ნათესებს — მზრუნველი ხელი

### გალი

**გალი.** (საკ. კორ. ი. გობეჩია). რაიონში ჩაისთან და სხვა მრავალწლიან კულტურებთან ერთად დიდი ფართობები უჭირავს სიმინდს, სოიასა და ლობიოს.

მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს რაიონის მშრომელებმა, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ოჩამჩირის, ხობისა და წალენჯიხის რაიონების მშრომელებთან, ვალდებულება იკისრეს საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღონ, რაც გეგმას 4 ცენტნერით აღემატება. გალელები 10.080 ტონა სიმინდის მარცვლის მიღებისათვის იბრძვიან.

რაიონის მხენელ-მთესველებმა სიმინდი სამარცვლედ 4.886 ჰექტარზე დათესეს, რაც გეგმას 85 ჰექტარით აღემატება. თესვა აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრეს. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, რაიონის მესიმინდეები მონდომებით შეუდგნენ ნათესების მოვლა-დამუშავებას, ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. რაიონში 5 ივლისისათვის სიმინდის პირველი თოხნა ჩატარებული იყო 3.374 ჰექტარზე, მეორე თოხნა — 1.654 ჰექტარზე. სოფელ აჩიგვარის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. ტორუა) გეგმით გათვალისწინებული 160 ჰექტარის ნაცვლად სიმინდი დათესეს 165 ჰექტარზე, პირველი თოხნაც დროულად დაამთავრეს და უკვე გაჩაღებულია მეორე თოხნა. აჩიგვარელები სიმინდის დამუშავებაში ფართოდ იყენებენ მექანიზაციას. ყანებში დროულად შეაქვთ აზოტოვანი სასუქები.

სიმინდის ნათესებს ტრადიციულად სანიმუშოდ უვლიან კოლმეურნეობა „შუშელეთში“ (თავმჯდომარე ვ. ქვაჩახია). აქ გეგმით გათვალისწინებული 130 ჰექტარის ნაცვლად სიმინდი დათესეს 135 ჰექტარზე. ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს მეორე თოხნა.

მაგრამ ყველგან საქმეს მონდომებით როდი მუშაობენ. სოფელ საბერიოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. მუროღლია) სიმინდის ნათესებს ცუდად უვლიან. აქ 175 ჰექტარიდან პირველი თოხნა არ დამთავრებულა, ხოლო მეორედ დამუშავებას არც კი შესდგომიან. ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ წარჩეს ეშბას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ბასარია), კოლმეურნეობა „წითელ დროშაში“ (თავმჯდომარე ნ. სიჭინავა), ლეკუხონის კომკავშირის სახელობის (თავმჯდომარე გ. შარანგია) კოლმეურნეობაში.

### აბაშა

**აბაშა.** (საკ. კორ. ბ. მილიუტინი). რაიონში ახალი ძალით გრძელდება ბრძოლა სიმინდის უხვი მოსავლის მიღების ტრადიციის აღსადგენად. ახლახან პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ სპეციალურად განიხილა საკითხი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდისა და სოიის ნათესების დამუშავების მდგომარეობის შესახებ. დასახეს ღონისძიებანი ამ მნიშვნელოვანი სამუშაოს ტემპის ამაღლებისათვის, ყანების მოვლა-დამუშავების გაუმჯობესებისათვის.

ადამიანს დიდ სიხარულს გვრის კარგად დამუშავებული ყანები სოფელ ტყვირის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. თოფურია). სანიმუშოა მესამე ბრიგადა, რომელსაც გ. ხარებავა მეთაურობს. უხვ მოსავალს მოელიან მესიმინდეები ქ. ჯამაშორია, ზ. ჟორდანია, ი. მიგინეიშვილი, ნ. გალდავა და სხვები.

574 ჰექტარზე უთესიათ სიმინდი ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. კაჭარავა). აქ წელსაც მარცვლის უხვ მოსავალს მიიღებენ. პირველი მაისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ბ. ლასარეიშვილი) თავი ისახელეს პირველი და მეორე ბრიგადების (ხელმძღვანელები კ. სტურუა და ა. დუნდუა) მესიმინდეებმა.

რაიონში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ძველისძველი ბიღლის — რიონს გაღმა მდებარე შესანიშნავი მასივის „ანჯერის“ გამოყენებას. აქ ასობით ჰექტარი საუკეთესო მიწაა და სიმინდის ნათესებს წელსაც ძირითადად კარგი ამინდი და პირობები აქვს. 700-800 ჰექტარზე ჩატარებულმა სამელიორაციო სამუშაოებმა „ანჯერს“ ახალი სიცოცხლე შემატა და მუშაკების გულიც გაახარა.

აბაშელმა მესიმინდეებმა შარშან დიდი გამარჯვება მოიპოვეს და წელსაც არ დათმობენ პოზიციებს, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ.

## დაჯილდოება

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 16 ივლისის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

**კომპოზიტორი აკაკი კირილეს-ძე ანდრიაშვილი, — ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის,** დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

კომპოზიტორი გრიგოლ ირაკლის-ძე კოკელაძე, — ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარებაში დიდი დამსახურებისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, **დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.**

## სკოლა პედაგოგს ელოდება

### პრობლემები, რომლებიც გვაღელვებენ

**საბჭოთა** ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები აჭარის სოფლებში სამუშაოდ ხალისით წავიდნენ.

ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში სოფლის თავკაცების ინიციატივით აშენდა ყაზარმული ტიპის ოთხკლასიანი სკოლა. სკოლა ჩაიბარა ახალგაზრდა ქალმა კეკელა ხომერიკმა. ბავშვები გაურანდავ მერხებსა და გრძელ სკამებზე ისხდნენ, ძლივს შოულობდნენ წიგნებს, ქაღალდსა და ფანქარს. მიუხედავად ამისა, ქართულ სკოლაში ხალისით მიდიოდნენ ბავშვები. გაუგებარ არაბულ ყურანს ამჯობინებს გოგებაშვილის „დედა ენა“, აკაკის ტკბილი ლექსები და ილიას ბრძნული აზრები.

კეკელა დღისით ბავშვებს ასწავლიდა. ღამით მოზრდილებს, ქალებისთვის ჭრა-კერვის წრე ჩამოაყალიბა. ხალხმა მეჯეთს ზურგი შეაქცია და მასწავლებელს ამოუდგა მხარში.

გაბოროტებულმა მოლებმა და ბეგებმა არ დააყოვნეს, ღამით ქალს თავს დაესხნენ და დაჭრეს. ამ ამბავმა მთელი სოფელი აღაშფოთა. შეწუხდნენ ბავშვებიც და დიდებიც, სკოლა დაიკეტა, აღარავინ ისურვა მასწავლებლის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება. კ. ხომერიკი განიკურნა და ისევ წყავროკას დაუბრუნდა.

მასწავლებელ ნესტორ ბესელიას განათლების კომისარიატში უთხრეს, ხულოს რაიონის მაღალმთიან სოფელ ალმეში სკოლა უნდა გავხსნათ, ხალხში განათლება შევიტანოთ. — რა თქმა უნდა, იქ წავალ, სადაც ხალხსა და ქვეყანას მეტ სარგებელს მოვუტანო. განაცხადა ნესტორმა. საბჭოთა პედაგოგი არ შეუშინდა სიძნელეებს, იგი სათავეში ჩაუდგა სოფლის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას.

რამდენი ასეთი ძვირფასი სახელის ჩამოთვლა შეიძლება. მამია ვაშალომიძე 26 წელია შუახევის რაიონის სხვადასხვა სკოლაში მუშაობს, თამარ ჩხარტიშვილი 23 წელია ხულოს რაიონში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, აკაკი მემარნიშვილი ხულოს რაიონში სკოლის დირექტორად 20 წელი მუშაობდა. მათ რამდენი ათასი ბავშვი აღუზრდიათ და ქვეყნის სამსახურში ჩაუყენებიათ. განა შეიძლება ადამიანმა ამაზე უფრო საამაყო და კეთილშობილური შრომა გასწიოს?

რაც დრო გადის, მით უფრო ფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. ახლა უშორესი სოფელიც არ დარჩენილა, რომ არ იყოს სკოლა, ბიბლიოთეკა, კლუბი. საყოველთაო-სავალდებულო საშუალო სწავლებაზე გადასვლამ განათლების ორგანოები ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. რაც მეტია სკოლა, კვალიფიციური პედაგოგიც მეტია საჭირო.

ყველასათვის ცნობილია, რომ წარსული სიდუხჭირე ისტორიას ჩაბარდა. მაღალმთიანი რაიონების თანამედროვე სოფლებშიც დამკვიდრდა ახალი ეპოქის მიღწევები. უშორეს სოფლებშიც მიდის ახლა კეთილმოწყობილი გზები. ყველგან გაიხსნა მაღაზიები და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, პედაგოგი უზრუნველყოფილია უფასო ბინითა და სხვა კომუნალური მომსახურებით, მიუხედავად ამისა, ბევრი უმაღლესდამთავრებული არ მიდის განაწილებისა და დანიშნულების მიხედვით. მათ აღზრდაზე სახელმწიფომ ათასობით მანეთი დახარჯა. ისინი კი... ბევრმა უმაღლესდამთავრებულმა პედაგოგიური განათლების დიპლომი, როგორც ზედმეტი ნივთი, უჯრაში ჩააგდო და მუშაობს ქალაქში სულ სხვა საქმეზე, ვაჭრობის თუ მომსახურების სფეროში, ანდა უსაქმურად ზის სახლში. ეს მაშინ, როცა მთეულობით სკოლაში ამაოდ ელოდებიან მათ.

აი რამდენიმე მაგალითი:

ხულოს რაიონის ტუნაძეების რვაწლიანი სკოლის შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულ სკოლაში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა დაბალ დონეზე დგას. რატომ? მიზეზი ნათელია, — თორმეტი პედაგოგიდან უმაღლესი სპეციალური განათლება აქვს მხოლოდ ოთხს, ასეთივე მდგომარეობაა გორგაძეების, ყინჩაურის, კვატიის, ფაჩხის რვაწლიან და ხამულის სკოლებში.

შუახევის რაიონის ჩანჩხალოს საშუალო და ტომაშეთის რვაწლიან სკოლებში უცხო ენა საერთოდ არ ისწავლება, ამ სკოლების კურსდამთავრებულთა ატესტატში უცხო ენის საგნებში შეფასება არ ეწერებათ. თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი ლილი რუხაძე, გულნაზი ბერეჟულაძე, თამარ ვადაჭკორია, თემურ ჩოგაძე უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დანიშნულებისამებრ არ გამოცხადებულან. ნუთუ ეს სპეციალისტები სინდისის ქენჯნას არ განიცდიან, როცა წარმოიდგენენ, რომ მათი გამო რამდენიმე სკოლაში უცხო ენის სწავლება ჩაშლილია? თუკი წინა თაობა უდიდესი სიძნელეების გადალახვას არ უშინდებოდა, ზემოთ ჩამოთვლილ და მათ მსგავს ახალგაზრდებს რა უშლით ხელს, რომ მომავალი თაობის აღსაზრდელად სოფელში რამდენიმე წლით წავიდნენ სამუშაოდ და პირნათლად მოიხადონ ვალი.

დღეს ყველასათვის ნათელია, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა რუსული ენის სწავლებას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილება შეიმუშავა.

ამას წინათ რედაქციამ შუახევის რაიონის ბარათაულის საშუალო სკოლიდან მიიღო პედაგოგ ვახტანგ ყორჩუაშვილის წერილი. აი რას წერს იგი.

— „ბარათაული ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. კმაყოფილი ვარ, რომ აქ წამოვედი სამუშაოდ. ბავშვებს ვასწავლი დიდი რუსი ხალხის ენას. ამასვე ვურჩევ ჩემს კოლეგებს, გამგზავრონ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მათ იქ მოუთმენლად ელოდებიან. ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტიას, ჩვენს ინსტიტუტს, რომლებმაც ცხოვრების ასპარეზზე გამომიყვანეს“.

ვ. ყორჩუაშვილისა და მისი მსგავსი ახალგაზრდების ნაბიჯი დასაფასებელია, მაგრამ ეს ყველაზე როდი ითქმის. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ევლინა ჩიბურდანიძე, თემურ ბეჟანიძე, ნაირა როხაძე, ელიკო მასურაძე, ნათელა შუბლაძე, ნიკო გიგინეიშვილი და სხვა ახალგაზრდები ქალაქში უსაქმურ ხეტიალს ამჯობინებენ განაწილებისამებრ სამუშაოზე წასვლას. ასეთ ახალგაზრდებს ნაკლებად იტაცებთ მაღალი იდეალები, პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

რუსული ენის საათები რომ არ გაცდენილიყო, აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო იძულებული გახდა დათანხმებოდა ხულოს რაიონის ტუნაძეებისა და კვატის რვაწლიან სკოლებში რუსული ენის მასწავლებლად დროებით გაეშვა რუსული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი. ფაჩხის რვაწლიან სკოლაში რუსულ ენას ასწავლის ფიზკულტურის მასწავლებელი, ხოლო გელაურის რვაწლიან სკოლაში — ქართული ენის მასწავლებელი. ამჟამად აჭარის სოფლის სკოლებში რუსული ენის 400 მასწავლებლიდან 80 არასპეციალისტი, ან დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტია.

ამჟამად მარტო ხულოსა და შუახევის რაიონებში არა ჰყავთ რუსული და უცხო ენის 31 პედაგოგი, ფიზიკა-მათემატიკის—20, ფიზიკური აღზრდისა — 2. უკეთესი მდგომარეობა არც სხვა რაიონებშია. ბათუმში ამჟამად 300 დროებით უმუშევარი პედაგოგია, მაგრამ ოჯახური თუ სხვა მიზეზების გამო არცერთს არ სურს სამუშაოდ მაღალმთიან სოფლებში წასვლა. კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცდილობს თავი აარიდოს განაწილებას.

ზოგჯერ გაიგონებთ საყვედურს — მაღალმთიანი სოფლებიდან ჩამოსულნი სტაბილურ ცოდნას ვერ ამჟღავნებენ, კონკურსებში მარცხდებიანო. ეს ეხება მხოლოდ იმ სკოლების მოსწავლეებს, სადაც არასპეციალისტები ასწავლიან, ან საერთოდ არ ასწავლიან რომელიმე საგანს.

ასეთი მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შექმნილი ვითარების შესაბამის ღონისძიებს გაატარებენ ზემდგომი ორგანოები.

ამჟამად ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში საღამოს დასწრებულზე სამასამდე სტუდენტი სწავლობს. ისინი ან ქალაქის მცხოვრებნი არიან, ან ახლომდებარე სოფლებისა. გამოდის, რომ მასწავლებლებს ვამზადებთ იმ ზონისათვის, სადაც ისეც ბევრი უმუშევარი პედაგოგია. ამის ნაცვლად უმჯობესია საღამოს დასწრებულის გაუქმების ხარჯზე კონტინგენტი გადიდდეს დღის დასწრებულზე და ბათუმის პედინსტიტუტთან გაიხსნას ისეთივე მოსამზადებელი განყოფილება-კურსები, როგორც ეს სხვა ინსტიტუტებშია არის და იქ ძირითადად ჩაირიცხონ მაღალმთიანი სოფლების ახალგაზრდები. ასეთი მომზადებისა და დახმარების შემდეგ ისინი ინსტიტუტში მოხვდებიან. ეს იქნება საკითხის გადაწყვეტა. არაფრით არ არის გამართლებული ბათუმის პედინსტიტუტის დღის დასწრებულზე ისტორიის განყოფილების გაუქმება. ასე თუ გაგრძელდა მომავალ წლებში, ალბათ მთის ზონის სკოლებს ვერც ისტორიის მასწავლებლებს მივაწვდით. საფუძვლიანად არ არის გადაწყვეტილი არც უცხო ენების მასწავლებელთა მომზადების პრობლემა.

ცხოვრებამ მკაცრად დააყენა პედაგოგიური კადრებით მთის რაიონების უზრუნველყოფის საკითხი, იგი მრავალ პრობლემასთან არის დაკავშირებული, მათს გადაწყვეტაზე ათასობით ბავშვის მომავალია დამოკიდებული.

**ვ. წულუკიძე,**
აჭარის ასსრ განათლების მინისტრი;

**მ. გორგილაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი

**გაიმართა** საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს IV პლენუმი, რომელმაც განიხილა სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ამოცანები „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ალმა-ათის გამოსვლის საფუძველზე რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით“.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ გ. ზედგინიძემ. მან თქვა, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო და ინჟინერ-ტექნიკურმა საზოგადოებებმა უკანასკნელ ხანს ხელი შეუწყო ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებას ახალი ტექნიკის, მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვისათვის. მაგალითად, ახალი ტექნიკის დანერგვის ამოცანები შარშან და მიმდინარე წლის ექვს თვეში უკეთ შესრულდა, ვიდრე წინა რამდენიმე წლის განმავლობაში.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ლობჟანიძემ.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც გამოვიდნენ საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ნ. ფირცხალავა, ხე-ტყის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ზ. ჩხუბიანიშვილი, საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. მეტრეველი, საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის პირველი მოადგილე გ. აზაურაშვილი, შავი მეტალურგიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარე ქ. ლეჟავა და სხვ.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ლელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე ბ. ბარბაქაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია. (საქინფორმი).

# საზღვაო დიდება

## საბჭოთა სავაჭრო ფლოტის 50 წლისთავი

1974 წლის 18 ივლისს ჩვენი ხალხი ზეიმით აღნიშნავს მნიშვნელოვან მოვლენას — საბჭოთა სავაჭრო ფლოტის 50 წლისთავს. ქვეყნის საზღვაო ტრანსპორტის ნახევარი საუკუნის იუბილეს დღესასწაულობა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდმივ ყურადღებას უთმობენ სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვან დარგს, დაუცხრომლად ზრუნავენ ზღვის მშრომელებისათვის.

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის მეზღვაურები ამაყობენ და მუდამ ახსოვთ, რომ ქვეყნის საზღვაო აკვანთან იდგა დიდი ლენინი. 1918 წლის 23 იანვარს (5 თებერვალს) ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საზღვაო და სამდინარო სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ.

რევოლუციამდელ რუსეთს ძალზე მცირე და სუსტი ფლოტი ჰქონდა და ფაქტიურად მთლიანად დამოკიდებული იყო უცხოეთის გემთმფლობელებზე.

დიდი ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა სოციალისტურ სახელმწიფოში გაიშალა გიგანტური აღმშენებლობითი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავდა ძველის შენარჩუნებასა და ახალი სავაჭრო ფლოტის შექმნას.

50 წლის წინათ — 1924 წლის 18 ივლისს შეიქმნა სააქციო საზოგადოება „საბჭოთა სავაჭრო ფლოტი“. ეს თარიღი დაბადების დღეა ჩვენი საზღვაო სავაჭრო ფლოტისა, რომელმაც ნახევარი საუკუნის მანძილზე სახელოვანი და დიდი გზა განვლო და ახლა მტკიცედ უკავია მსოფლიო ნაოსნობის ერთ-ერთი ლიდერის მდგომარეობა. ახლა ჩვენს სავაჭრო ფლოტს უნარი შესწევს არა მარტო დააკმაყოფილოს საზღვაო ტვირთზიდვაზე სახალხო მეურნეობის საშინაო მოთხოვნილება, არამედ წარმატებით განახორციელოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა.

იმისათვის, რომ ერთმანეთს შევადაროთ ჩვენი საზღვაო სავაჭრო ფლოტის გუშინდელი და დღევანდელი დღე და შევაფასოთ ლენინური პარტიის ნებით საზღვაო ტრანსპორტზე გაწეული ჭეშმარიტად ტიტანური მუშაობის ნაყოფი, შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი შედარება. 1925 წლის დამდეგისათვის სავაჭრო ფლოტში იყო 133 გემი, რომელთა საერთო ტონაჟი 200 ათას ტონას არ აღემატებოდა. დღეს კი მარტო საქართველოს სანაოსნოს აქვს ფლოტი, რომლის საერთო ტონაჟი რამდენიმე ასეულ ათას ტონას შეადგენს, ხოლო ტონაჟი მთელი საბჭოთა სავაჭრო ფლოტისა, რომელსაც ახლა მეექვსე ადგილი უკავია მსოფლიოში, რამდენიმე მილიონ ტონას შეადგენს. ჩვენს დღეებში, სატვირთო ოპერაციათა გაზრდილი სიჩქარისა და სისწრაფის გათვალისწინებით, მაშინდელი სავაჭრო ფლოტის მუშაობის მთელ მოცულობას ვადამდე შეასრულებს ერთი დიდტონაჟიანი გემი, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, ბალკერი „გენერალი ლესელიძე“, რომლის ტვირთამწეობა 32000 ტონაა.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ზღვა წარმოშობდა მამაც და გაბედულ, შრომისმოყვარე და მტკიცე, სამშობლოს, პარტიის, ხალხის საქმისადმი ერთგულ ადამიანებს. რევოლუციის ქარიშხლით გასხივოსნებულ ნახევარი საუკუნის წინანდელ ამბებს განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო სანაოსნოს შექმნის პირველი ცდა. დიახ, ასეთი დაწესებულება შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. მისი ბაზა თბილისში იყო. სანაოსნო იყო პატარა და სუსტი, მხოლოდ რამდენიმე თვეს იარსება, მაგრამ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში.

ამჟამად მოქმედი საქართველოს საზღვაო სანაოსნო შეიქმნა 1967 წლის იანვარში. პირველი ნაბიჯებიდანვე იგი ორგანულად შეერწყა რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებას, კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა საქართველოს ყველა ნავსადგურის იერზე. ამჟამად სანაოსნოს ფლოტი შედგება რამდენიმე ასეული ტონა საერთო ტვირთამწეობის ათობით გემისაგან. ეს არის თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი უახლესი გემები, რომლებსაც პრაქტიკულად ნაოსნობის შეუზღუდველი რადიუსი აქვთ. ისინი საკაბოტაჟო რეისებს ასრულებენ შავ ზღვაში და ტვირთი გადააქვთ მსოფლიო ოკეანის ყველა აუზში. ძნელია დავასახელოთ მუდმივი საზღვაო სატვირთო ტრასა, რომელზეც ჩვენი სამშობლოს ალამით არ დაცურავდნენ საქართველოს მეზღვაურები.

თუ წინათ ჩვენ ვიყავით მხოლოდ სატანკერო სანაოსნო, ახლა შერეულ სანაოსნო კომპანიას წარმოვადგენთ. საქართველოს სანაოსნოს ფლოტის შემადგენლობაში შევიდა ხუთი დიდი მადანმზიდი, რომელთაგან თვითეულის ტვირთამწეობა 32 ათასი ტონაა. მათ შორის არის სსრ კავშირში ყველაზე მაღალავტომატიზებული ბალკერები „გიორგი ლეონიძე“ და „გენერალი ლესელიძე“, რომელთა ნიმუშების მიხედვით აიგება სხვა გემები ქვეყნის სავაჭრო ფლოტისათვის.

წლითიწლობით იზრდება ტვირთნაკადის ნომენკლატურა და მოცულობა. ამჟამად საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემებს გადააქვთ გადაუმუშავებელი ნავთობი და ყველა სახეობის ნავთობპროდუქტები, მცენარეული ზეთი, სპირტი, რკინის კონცენტრატი, მანგანუმი, კაზმი, მარცვლეული, დაუმუშავებელი შაქარი და სხვა ტვირთი. მარტო 1973 წელს საქართველოს მეზღვაურებმა გადაზიდეს დაახლოებით 5 მილიონი ტონა ტვირთი და სახელმწიფოს დიდი ზეგეგმითი მოგება მისცეს.

ზღვა, როგორც ცნობილია, ვერ იტანს როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად სუსტ ადამიანებს. აი რატომ ვუთმობდით და ვუთმობთ განსაკუთრებულ ყურადღებას კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეს. საქართველოს მეზღვაურთა დიდ უმრავლესობას განათლებული და მაღალი კულტურის ადამიანები შეადგენენ, რომლებსაც შესწევთ უნარი გამოიჩინონ შორსმჭვრეტელობა და დამოუკიდებლობა თავიანთ გადაწყვეტილებებში. ესენი, როგორც წესი, არიან შრომისმოყვარე, შემოქმედებითი სულისკვეთების ადამიანები, მომთხოვნი საკუთარი თავისა და ამხანაგებისადმი, დიდად დაინტერესებულნი მინდობილი საქმის წარმატებებით.

ჩვენი სანაოსნოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი მეცადინეობა მიზნად ისახავს იმას, რომ აღზარდონ ისეთი მეზღვაურები, რომლებსაც ნათლად ესმით: ყოველი სარეისო დავალება — ეს, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური, პარტიული საქმეა, რომელიც ეხება ეკიპაჟისა და მისი თვითეული წევრის საარსებო ინტერესებს. საზღვარგარეთის რეისებში მიდიან პოლიტიკურად განვითარებული და იდეურად გამოწრთობილი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული მეზღვაურები.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოში პატივისცემით სარგებლობენ კაპიტანი პატარაძე, უფროსი მექანიკოსი ზახარია, სოციალისტური შრომის გმირი ბოცმანი ოსაძე, ბოცმანი იმნაძე, კაპიტანი პოტეხინი, ბოცმანი სურმავა, უფროსი მექანიკოსი ჩხარტიშვილი, ბათუმის ნავსადგურის ზეინკალი ლოპატენკოვა, ფოთის ნავსადგურის მეამწე თოფურია, სოხუმის საზღვაო ნავსადგურის მცურავი ამწის უფროსი მექანიკოსი ალიკინი, ფოთის საზღვაო ნავსადგურის მეამწე კაჭარავა.

სამშობლომ დიდად დააფასა სანაოსნოს კოლექტივის თავდადებული შრომა. 90 მეზღვაურს, ნავსადგურის მუშაკსა და გემშემკეთებელს მიენიჭა მთავრობის მაღალი ჯილდოები, 525 კაცი დაჯილდოებულია „1973 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის“ ნიშნით, ბევრის მუშაობა საპატიო სიგელებით აღინიშნა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შექმნამ სახე უცვალა საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურებს: ბათუმს, ფოთს, სოხუმს, არსებითი ცვლილებანი შეიტანა მათ მეურნეობაში. ფოთში, მაგალითად, მთავრდება იმპორტული ბოქსიტის მადნების გადასამუშავებელი მექანიზებული კომპლექსის მშენებლობა, შენდება საზღვაო ვაგზლის თანამედროვე შენობა.

ბათუმის ნავსადგურის მშრალი ტვირთის კომპლექსს ახლა უკვე შეუძლია წელიწადში გადაამუშაოს მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი. მისი მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, როცა ამოქმედდება მიწათხრის გადმოსატვირთი სპეციალური პნევმატური მოწყობილობა. ეს სიახლე ჩვენი ქვეყნის ნავსადგურის მუშაკთა თავისებური პირველი მერცხალია. ბათუმის ნავსადგური სსრ კავშირში პირველი მოსინჯავს მას. ტექნიკური ხორცშესხმით უნიკალური იქნება სოხუმის საზღვაო ვაგზალი, რომლის მშენებლობა უკვე მთავრდება.

საქართველოს ახალგაზრდა საზღვაო სანაოსნო, მისი ქმნადობის პერიოდთან დაკავშირებული მთელი რიგი სიძნელეების მიუხედავად, ძალას იკრებს, ვაჟკაცდება, გულდაჯერებით მიაბიჯებს ტექნიკური პროგრესის გზით. დღეს იგი წარმოადგენს სოლიდურ საზღვაო სატრანსპორტო ორგანიზაციას, რომელსაც აქვს თანამედროვე სანავიგაციო აპარატურა, თავისი სამეცნიერო-გამოთვლითი ცენტრი, ხოლო უახლოეს ხანში თავისი მართვის ავტომატიზებული სისტემაც ექნება.

ჩვენი სანაოსნოს „სადარბაზო ბარათს“ კარგად იცნობენ მსოფლიოს ორმოცზე მეტ სახელმწიფოში. ამას წინათ ჩვენი კოლექტივი შევიდა გემის მფლობელთა საბჭოთა ასოციაციაში, ხოლო მისი საშუალებით — საერთაშორისო გემის მფლობელთა ასოციაციაში. მიმდინარე წლის მაისში ბათუმში მიმდინარეობდა საერთაშორისო გემის მფლობელთა საბჭოს სხდომა, რამაც გააღრმავა და გააფართოვა საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს თანამშრომლობა უცხოეთის სანაოსნო ფირმებთან.

საერთაშორისო გემის მფლობელთა ასოციაციის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩვენი კოლეგები მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან: ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, კუბიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, იუგოსლავიიდან. მათთან შეხვედრებმა და საუბრებმა ჩაიარეს ურღვევი ინტერნაციონალური ერთიანობის ნიშნით. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებიდან ჩამოსული ჩვენი სტუმრები გარემოსილი იყვნენ ზრუნვითა და ყურადღებით, შესაძლებლობა ჰქონდათ უფრო ახლოს გაცნობოდნენ მზიურ საქართველოს, მის სახელოვან ხალხს, ენახათ მისი თავდადებული აღმშენებლობითი შრომა სანუკვარი მიზნის განხორციელებისათვის — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებისათვის.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საზღვარგარეთ ძალზე აინტერესებთ საბჭოთა საქართველოს ცხოვრება, რესპუბლიკის შრომითი მიღწევები, ჩვენი ადამიანების ყოფა-ცხოვრება, საქართველოს თავისთავადი კულტურა და მდიდარი ისტორია, საქვეყნოდ ცნობილი ხელოვნება.

ჩვენი კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ჩვენ დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მუშაობას, პლენუმისა, რომელმაც განიხილა და დასახა რესპუბლიკაში ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის ბრძოლის, კომუნისტური მშენებლობის გენერალური მიმართულების ეტაპები.

ამ ისტორიულ პარტიულ დოკუმენტებში განსაზღვრულია აგრეთვე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შემდგომი განვითარების საკვანძო პოზიციები. დასახულია ჩვენი მეურნეობის სანაპირო ბაზის რეკონსტრუქცია და გაფართოება. დიდი და რთული მუშაობა მოგველის. უნდა ავამოქმედოთ სამგზავრო ნავმისადგომები ბათუმში, გაგრაში და მწვანე კონცხზე. გათვალისწინებულია სოხუმის ნავსადგურის ნავმისადგომი ხაზის რეკონსტრუქცია, რათა უზრუნველვყოთ თანამედროვე სამგზავრო ლაინერების მიღება, და იმ ორი სატვირთო ნავმისადგომის მოდერნიზაცია ფოთის ნავსადგურში, რომლებიც დაკავშირებული არიან ბოქსიტებისა და სხვა ჩასაყრელი ტვირთის გადასამუშავებლად.

დაგეგმილია ბათუმში აშენდეს 400 მოსწავლისათვის გათვალისწინებული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ახალი შენობა, საექსპლოატაციოდ გადაეცეს 56 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და ბევრი სხვ.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი ამოცანა დაგვაკისრა საზღვაო ფლოტის სამინისტრომაც. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, ჩვენთვის უკიდურესად საჭირო საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა. მათ შორის სანავსადგურო საწყობები ბათუმსა და ფოთში, ახალი გემთშემკეთებელი და გემთამწევი ნაგებობანი, რეისშორისი დასვენების სახლი, საკავშირო მნიშვნელობის სპორტული ბაზა და სხვ.

საქართველოს მეზღვაურები თავიანთ დღესასწაულს — საზღვაო სავაჭრო ფლოტის 50 წლისთავს — ეგებებიან უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. უპატაკებენ რა თავიანთ შრომით მიღწევებს, ისინი ამით აცხადებენ, რომ მთლიანად იწონებენ კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მხურვალედ ესწრაფვიან ძალ-ღონისა და ენერგიის დაუზოგავად იმუშაონ კომუნიზმისათვის.

**ა. კაჭარავა,**
საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი.
(საქინფორმი).

# მსოფლიო დღეს

საქდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

## ტელეტაიპის ლენტიდან

### დაძაბულობა ძლიერდება

**ნიუ-იორკი**, 17 ივლისი (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეები ახლო აღმოსავლეთში აღნიშნავენ დაძაბულობის გაძლიერებას ლიბან-ისრაელის სექტორში. როგორც მათ ცნობებშია ნათქვამი, 8-14 ივლისს ისრაელის ჯარებმა 16-ჯერ დაუშინეს ტყვიამფრქვევის, ნაღმსატყორცნისა და არტილერიის ცეცხლი ლიბანის ტერიტორიას. ისროდნენ როგორც ხმელეთიდან, ისე სამხედრო ხომალდებიდან.

ლიბანის საჰაერო სივრცეში ამ დროის განმავლობაში შეიჭრა აგრესორის ექვსი თვითმფრინავი.

### დაპატიმრებანი ადის-აბებაში

**ადის-აბება**, 17 ივლისი. (საქდესი). **ეთიოპიის რადიომ დღეს გამოაცხადა ქვეყნის ეროვნული თავდაცვის მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ აბია აბებეს დაპატიმრების შესახებ.** სამხედრო კომიტეტმა, რომლის განკარგულებითაც დააპატიმრეს მინისტრი, განაცხადა, რომ ბოლო სამი კვირის განმავლობაში დაკავებულია 60 კაცი, რომლებსაც ბრალად ედებათ კორუფცია და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. დაპატიმრებულთა შორის არიან მთელი რიგი ყოფილი მინისტრები, ზოგიერთი პროვინციის გუბერნატორები, არმიისა და პოლიციის უმაღლესი სამხედრო წოდების პირნი, მსხვილი მიწათმფლობელნი.

### ტყის ხანძრები საბერძნეთში

**ათენი**, 17 ივლისი. (საქდესი). **ათასობით ჰექტარი ტყე მთლიანად განადგურებულია საბერძნეთში ცხელი ამინდით და ხანგრძლივი გვალვით გამოწვეული ხანძრების შედეგად.** ცეცხლი ემუქრება ტყის ხანძრების რაიონების ახლოს მდებარე დასახლებულ პუნქტებს. ცეცხლის რკალშია აგრეთვე ათენი. ქალაქს ჩამოაწვა ნამწვისა და კვამლის ღრუბლები.

გამძვინვარებულ სტიქიასთან ბრძოლაში სახანძრო რაზმებს ეხმარებიან ჯარის ქვედანაყოფები.

## შეტაკებანი მეამბოხეებთან

● თურქეთის მოწოდება ინგლისისადმი ● თურქეთის პარლამენტის სესია ● უშიშროების საბჭოს სხდომა ● საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

**სტამბოლი**, 16 ივლისი. (საქდესი). თურქეთის მთავრობის წარმომადგენელმა დღეს მოუწოდა ინგლისს გამოიყენოს კვიპროსში მყოფი ინგლისის ჯარები ერთობლივი თურქეთ-ინგლისის აქციისათვის.

ეს აქცია განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ კვიპროსში სამხედრო ამბოხების ხელმძღვანელები გაილაშქრებენ კუნძულის თურქთა თემის ინტერესების წინააღმდეგ, ან შეეცდებიან კუნძული საბერძნეთს შეუერთონ. თურქეთის ინფორმაციის მინისტრმა ორჰან ბირგითმა განაცხადა, რომ კვიპროსში მომხდარ ამბებში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს „კვიპროსელი თურქების უშიშროების დასაცავად“.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბიულენტ ეჯევითმა დაახასიათა კვიპროსში მომხდარ სამხედრო ამბოხებაში ათენის როლი და აღნიშნა, საბერძნეთი კვიპროსის დამოუკიდებლობის სტატუსს არღვევსო.

**სტამბოლი**, 17 ივლისი, (საქდესი). თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფაჰრი კორუთურქმა გადაწყვიტა 18 ივლისს მოიწვიოს თურქეთის პარლამენტის საგანგებო სესია, რომელიც დათხოვნილია საზაფხულო არდადეგებზე. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის მთავრობისა და ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერის სურვილის შესაბამისად.

სესიაზე განიხილავენ კვიპროსში თურქეთის სამხედრო ჩარევის შესაძლებლობის საკითხს.

**ათენი, 17 ივლისი. (საქდესი). 16 ივლისს ათენის რადიომ გადასცა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კიპრეოსის განცხადება, რომელიც მოწმობს, რომ საბერძნეთის ხელისუფალნი ცდილობენ მოიხსნან პასუხისმგებლობა კანონიერად არჩეული კვიპროსის პრეზიდენტის არქიეპისკოპოს მაკარიოსის წინააღმდეგ საბერძნეთის მხედრიონის გამოსვლისათვის.**

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების საწინააღმდეგოდ განცხადება შეიცავს მტკიცებას, თითქოს კვიპროსის საკითხებში საბერძნეთის მთავრობის პოლიტიკა „მიზნად ისახავდეს კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობის შენარჩუნებასა და უზრუნველყოფას“, და შეიცავს ცდას, რომ კვიპროსში მომხდარი უკანასკნელი ამბები წარმოადგინონ როგორც „გაერთიანებული ერების წევრი სახელმწიფოს შინაური საქმე“.

განცხადებაში წინასწარი განზრახვით უარყოფილია საბერძნეთის მთავრობის უშუალო პასუხისმგებლობა კვიპროსში იმ ბერძენ ოფიცერთა სისტემატური ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის, რომლებმაც თავიანთი სამეთაურო მდგომარეობა გამოიყენეს კვიპროსის ეგრეთ წოდებულ ეროვნულ გვარდიაში სამხედრო ამბოხების მოსაწყობად, რომელიც მიმართულია პრეზიდენტ მაკარიოსის მთავრობის წინააღმდეგ.

**ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საქდესი). გუშინ საღამოს უშიშროების საბჭომ სასწრაფო სხდომა მოიწვია იმასთან დაკავშირებით, რომ საბერძნეთმა მოახდინა სამხედრო ჩარევა კვიპროსის საშინაო საქმეებში, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას ამ რაიონში.**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა კუნძულზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უშიშროების საბჭოს მოახსენა, რომ ეროვნულმა გვარდიამ ბერძენი ოფიცრების მეთაურობით ამბოხება მოაწყო რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ კვიპროსის ამბები საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სერიოზულ შეშფოთებას იწვევენ.

კვიპროსის წარმომადგენელმა ზ. როსიდესმა მოუწოდა უშიშროების საბჭოს სასწრაფო ღონისძიებანი მიიღოს, რათა შეწყდეს ცეცხლი და აღდგეს წესრიგი კუნძულზე.

საბჭოთა წარმომადგენელმა ვ. ს. საფრონჩუკმა განაცხადა, რომ პუტჩისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საბერძნეთის მხედრიონს, საბერძნეთის მთავრობას. მან მოუწოდა უშიშროების საბჭოს დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო გადამწყვეტი ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ საბერძნეთის მხედრიონის შეიარაღებული ჩარევის დაუყოვნებლივ შეწყვეტას კვიპროსის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში და ბერძენი სამხედრო მოსამსახურეების დაუყოვნებლივ გამოყვანას კვიპროსიდან.

სხვა მთელი რიგი დელეგატების გამოსვლის შემდეგ უშიშროების საბჭოს სხდომა შეწყდა. შემდეგი სხდომის თარიღი გამოქვეყნდება შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ.

**ბეირუთი, 17 ივლისი. (საქდესი). კვიპროსიდან მიღებული ცნობები მოწმობენ რომ პრეზიდენტ მაკარიოსის კანონიერი მთავრობის მომხრენი და მისი ერთგული უშიშროების ძალებისა და პოლიციის ქვედანაყოფები კვლავ უწევენ წინააღმდეგობას მეამბოხეებს.** ბრძოლები მიმდინარეობს პათოსსა და მთელ რიგ სხვა დასახლებულ პუნქტებში. ბრძოლა წარმოებს უთანასწორო პირობებში: მეამბოხეთა ტანკებსა და არტილერიას კანონიერი მთავრობის მომხრეებს შეუძლიათ დაუპირისპირონ მხოლოდ მსუბუქი იარაღი.

როგორც იუწყებიან, ღამის განმავლობაში ნიქოზიის მთელ რიგ უბნებში სროლა იყო. კვიპროსის დედაქალაქში ბრძოლების გაფთრებას მოწმობს დანგრეული სახლები დამწვარი ავტომანქანები, ხანძრისაგან გამავებული პრეზიდენტის სასახლის კედლები, ალაგ-ალაგ შენგრეული ყუმბარებით, ნასროლი ჰილზებით, ვაზნების ყუთებით დაფარული ქუჩები. აქ მიღებული ცნობებით, ბრძოლების შედეგად არის ბევრი დახოცილი და დაჭრილი.

უკანასკნელი ცნობებით, მეამბოხენი მხეცურად უსწორდებიან პრეზიდენტ მაკარიოსის ტყვედ ჩავარდნილ მომხრეებს, სასტიკად აწამებენ და აბუჩად იგდებენ მათ.

ნიქოზიაში კვლავ მოქმედებს კომენდანტის საათი, რომელიც მეამბოხეებმა გამოაცხადეს. პუტჩისტების ტანკებმა დაიკავეს ქალაქის ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი. კუნძული კვლავ მოწყვეტილია დანარჩენ სამყაროს. თუმცა კვიპროსის დედაქალაქი დახურულია ყველა სხვა ქვეყნისათვის და მისი საერთაშორისო აეროპორტი არ მოქმედებს, გუშინ იქ ათენიდან მოვიდა სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომელმაც ჩამოიყვანა ბერძენი ოფიცრები. ეს, როგორც აქ აღნიშნავენ, ადასტურებს, რომ ათენის სამხედრო ხელისუფალნი წარმართავენ და უშუალოდ უჭერენ მხარს პუტჩისტთა მოქმედებას.

## გადაჭრით გმობენ პუტჩისტებს

**მსოფლიო საზოგადოებრიობა და პრესა გადაჭრით გმობენ შეიარაღებულ ამბოხებას, რომელიც გარეშე ძალებმა მოაწყვეს კვიპროსის რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. ბევრი გაზეთი თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებს საქდესის განცხადებას, ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა ადამიანები იმათ მხარეზე არიან, ვინც კვიპროსისათვის ამ ძნელ ჟამს წინააღმდეგობას უწევს მეამბოხეებს.**

ბელგრადი. სამხედრო ამბოხება, განხორციელებული უცხოეთის შეიარაღებული ძალების ოფიცრების აშკარა მონაწილეობით, უხეში ჩარევაა სუვერენული, დამოუკიდებელი და მიუმხრობელი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ნათქვამია იუგოსლავიის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს განცხადებაში. ამ განცხადებაში გამოთქმულია რწმენა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა დაგმობს უცხოეთის ჩარევას კვიპროსის საშინაო საქმეებში.

ნიუ-იორკი. „არავითარი ეჭვი არ არის, რომ პასუხისმგებლობა ბარბაროსული პუტჩისათვის კვიპროსში ეკისრება საბერძნეთის სამხედრო დიქტატურას“, — წერს სარედაქციო სტატიაში „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

ლონდონი. „ფაშისტური დანაშაული“ უწოდა სამხედრო პუტჩს კვიპროსში დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა. მის მიერ გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ აგრესია კვიპროსის წინააღმდეგ „მოაწყო საბერძნეთის ფაშისტურმა მთავრობამ დასავლეთის იმპერიალისტური რეაქციის მხარდაჭერით“.

რომი. „ჯორნალე“ კომენტარს უძღვნის საერთაშორისო გამოხმაურებას კვიპროსის ამბების გამო და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს მაკარიოსის კანონიერ მთავრობას.

პარიზი. კვიპროსში მომხდარი ამბოხება სრულიადაც არ წარმოადგენს „წმინდა შინაურ საქმეს“, როგორც ეს ნაჩქარევად განაცხადეს მისმა ორგანიზატორებმა, — წერს „ლუმანიტე“. კუნძულის ახლანდელი ამბები იმის უშუალო შედეგია, რომ ათენში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკთა რეჟიმი. თუ გავითვალისწინებთ საბერძნეთის სამხედრო ხუნტის მჭიდრო დამოკიდებულებას ვაშინგტონზე, განაგრძობს გაზეთი, შეუძლებელია ვიგულისხმოთ, რომ ამბოხება კვიპროსში მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობის გარეშე.

ვენა. ავსტრიის ყველა გაზეთი ვრცელ კომენტარს უძღვნის საქდესის განცხადებას კვიპროსის ამბების შესახებ. როგორც გაზეთი „არბაიტერ ცაიტუნგი“ აღნიშნავს, „ის ფაქტი, რომ ნიქოზიის პუტჩის მიღმა დგას ათენი, ცხადყოფს, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ევროპის მშვიდობის საქმისათვის საბერძნეთის ახლანდელი რეჟიმი“.

კაირო. ეგვიპტეს მიაჩნია, რომ ყველა დაინტერესებულმა ქვეყანამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს კვიპროსის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, ქვეყნისა, რომელიც იცავს მიუმხრობლობის პოლიტიკას, — განაცხადა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ფაჰმიმ. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ პრეზიდენტი ა. სადათი „დიდი შეშფოთებით ადევნებს თვალს სისხლისმღვრელი ამბების განვითარებას კუნძულზე“.

## ფოტოინფორმაცია

დევნენის (ბულგარეთი) სამრეწველო კომპლექსი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია, რომელიც ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს კომპლექსური პროგრამით იგება. ამ კომპლექსის ობიექტების მშენებლობისათვის მიმდინარე ხუთწლედში გამოყოფილია მილიარდზე მეტი ლევი. დევნენის ველზე იგება კალცინირებული სოდის ქარხანა, რომლის მშენებლობაშიც მონაწილეობენ ბულგარეთი, სსრ კავშირი და უნგრეთი. ქარხნის პროდუქცია მთლიანად დააკმაყოფილებს ბულგარეთის მოთხოვნილებას და გაიგზავნება სსრ კავშირში, უნგრეთში, აგრეთვე სხვა სოციალისტურ ქვეყნებში.

სურათზე: დევნენის კომპლექსის მშენებლობის პანორამა.

ბტა-ახალ ამბების სააგენტოს ფოტო.

## პრეზიდენტ მაკარიოსის პრეს-კონფერენცია

**ლონდონი, 17 ივლისი. (საქდესი). კვიპროსის პრეზიდენტი არქიეპისკოპოსი მაკარიოსი დღეს ინგლისში ჩამოვიდა.** ჩამოსვლის შემდეგ კორესპონდენტებისათვის გაკეთებულ განცხადებაში მან აღნიშნა, რომ სამხედრო გადატრიალება კვიპროსში მოაწყო ათენის სამხედრო რეჟიმმა და განახორციელეს საბერძნეთის ოფიცრებმა, რომლებიც ეროვნულ გვარდიაში მსახურობენ. „მათ ხელმსატყორცნისა და სხვა სახეობათა იარაღის ცეცხლი დაუშინეს პრეზიდენტის სასახლეს და ცდილობდნენ ჩემს მოკვლას, — თქვა მაკარიოსმა. — თავდასხმის შედეგად სასახლე დაინგრა. მათ რადიოთი გამოაცხადეს, რომ მოკლული ვარ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ცოცხალი ვარ“. „მე კვიპროსის არჩეული პრეზიდენტი გახლავართ“, — ხაზგასმით აღნიშნა მაკარიოსმა.

არქიეპისკოპოსის თქმით, მან მოახერხა დაეტოვებინა პრეზიდენტის სასახლე და თავი შეეფარებინა ქალაქ პათოსში, საიდანაც რადიოთი რამდენჯერმე მიმართა კვიპროსელ ხალხს. „გუშინ დილით, — თქვა მან, — ეროვნული გვარდიის სამხედრო გემმა ცეცხლი დაუშინა რადიოსადგურს და დაანგრია იგი. ამავე დროს ჯავშნიანი მანქანები და ტანკები გაემართნენ პათოსის მიმართულებით“.

კვიპროსის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სურდა დარჩენილიყო კვიპროსში კვიპროსელ ხალხთან ერთად, მაგრამ გარემოებამ აიძულა დაეტოვებინა კუნძული. მაკარიოსმა დასძინა, რომ არ უნდოდა ხელში ჩავარდნოდა საბერძნეთის ხუნტას და ამჯობინა კვიპროსის დატოვება. ჩემი აზრით, თქვა მან, იატაკქვეშეთში წასვლა არ იქნებოდა სწორი გადაწყვეტილება. ვფიქრობ, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ უფრო ეფექტიანად შევძლებ დავეხმარო ჩემს ხალხს დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში.



## კვიპროსი:

# იმპერიალიზმის ვერაგული აქცია

**ჟურნალისტები** ჩვეულებრივ „ათასი ლეგენდის კუნძულს“ უწოდებენ კვიპროსს. ენაწყლიან გიდებს მართლაც რომ უთვალავი, ერთიმეორეზე უფრო ფანტასტიკური და მომხიბვლელი ლეგენდა აქვთ შემონახული ეგზოტიკის მოყვარულ უცხოელ ტურისტთათვის. ლეგენდებს შთამბეჭდაობას მატებს უამრავი ძეგლები — ნანგრევები და კაცობრიობის ცივილიზაციის გენეზისის თითქმის ყველა ეპოქის განუმეორებელი ნახელავი.

ეს ყოველივე ტურისტებისათვის, ხოლო იმპერიალისტთათვის კუნძული მუდამ წარმოადგენდა 9251 კვ. კმ. ფართობის სტრატეგიული დანიშნულების ტერიტორიას. 1960 წლის აგვისტოდან კვიპროსი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტია, რომელსაც ხუთი წლის ვადით ირჩევს კუნძულის ბერძენი მოსახლეობა. ვიცე-პრეზიდენტს თურქი მოსახლეობა ირჩევს, რომელიც მთელი მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენს. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის 50 დეპუტატისაგან შემდგარ წარმომადგენელთა პალატას. აქაც 35 დეპუტატი ბერძენია, 15 — თურქი. როგორც ვხედავთ, ყველა საკითხში დაცული კუნძულის ძირითადი მოსახლეობის პროპორციული წარმომადგენლობითი პრინციპი, მაგრამ რეაქციის პირველი შეტევა სწორედ ტომთაშორისი შუღლის გაღვივებით დაიწყო ჯერ კიდევ 1963 წელს.

საერთაშორისო იმპერიალიზმის ინტრიგათა საპასუხოდ მაკარიოსმა წინადადებით მიმართა კუნძულის მთელ მოსახლეობას შეთანხმებულიყვნენ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის შეცვლაზე, რომელიც ხელს უშლიდა ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებას და ბერძენ-თურქთა ეროვნული შუღლის ხანგრძლივი მოქმედების ნაღმს წარმოადგენდა. პრეზიდენტის წინადადების საპასუხოდ ნატოს მესვეურებმა, რომელნიც კუნძულს განიხილავენ დიდმნიშვნელოვან სამხედრო ბაზად ხმელთაშუა ზღვის რაიონში, ახალი სისხლისმღვრელი შეტაკებების ინსპირირება მოახდინეს. 1964 წლის მარტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით კვიპროსზე შეყვანილ იქნა ამ ორგანიზაციის სამხედრო კონტინგენტი. ამ რამდენიმე ხნის წინ კიდევ ექვსი თვით გაგრძელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ყოფნის ვადა კუნძულზე.

მიუხედავად როგორც საშინაო, ისე საგარეო რეაქციის ყოველგვარი ცდებისა, პრეზიდენტ მაკარიოსის მიზანდასახულობამ და სისტემატურმა ეროვნულმა პოლიტიკამ მაინც გამოიღო ნაყოფი და 70-იანი წლების დასაწყისიდან კუნძულზე ნელდება ეროვნული შუღლი, რის უტყუარ საბუთსაც წარმოადგენდა კვიპროსის შიდაპოლიტიკური ცხოვრების არენაზე 75 წლის ბერძენი გენერლის გრივასის გამოჩენა. გრივასს ყველა იცნობდა როგორც „კვიპროსის მამულის“ „ბერძნულ სამშობლოსთან“ შეერთების — „ენოზისის“ ფანატიკურ მომხრეს. გრივასი და მის ზურგსუკან მდგომი საბერძნეთის და ნატოს გარკვეულ წრეებს შეაშფოთა ეროვნული შუღლის განელებამ კუნძულზე, რაც ხელ-ფეხს გაუხსნიდა მაკარიოსს და გაუადვილებდა დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის გატარებას. თვით მხცოვანი გენერალი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს თავისი პარტიზანული რაზმით იბრძოდა გერმანელთა წინააღმდეგ, იატაკქვეშა კვალიფიციური მებრძოლის რეპუტაციით სარგებლობდა და კუნძულზე ჩასვლისთანავე აქტიური ტერორისტული მოღვაწეობა გააჩაღა. ერთ-ერთ ინტერვიუში გრივასმა ისიც კი განაცხადა, რომ მზად არის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოლოს „ენოზისისათვის“, თუ გინდ ამ ბრძოლას კუნძულის ბერძნული მოსახლეობის გაწყვეტა მოჰყვესო. მაგრამ მისმა ზრახვებმა ხორცი ვერ შეისხეს. გრივასი ორიოდე თვის წინათ გარდაიცვალა კუნძულზე. თვით გამოცდილ პოლიტიკოს მაკარიოსს კი მშვენივრად ესმოდა, რომ „ენოზისი“ ფაქტიურად თურქეთთან ომს მოასწავებდა. ამასთან ძალზე დიდია კუნძულით იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაინტერესება და მათ სულაც არ აძლევთ ხელს, რომ მისი სრული გამგებლობა პრეზიდენტსა და ხალხს მიენდოს. მორიგი კრიზისი კვიპროსზე, როდესაც რეაქციულმა სამღვდელოებმა მაკარიოსის გადადგომაც კი მოითხოვა, „დაემთხვა“ ვაშინგტონსა და ათენს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც აშშ-ს მეექვსე ფლოტს საბერძნეთის ნავსადგურებში ბაზირების უფლება მიეცა. იმ დღეებში კვიპროსის გაზეთი „ჰარავგი“ წერდა: „აშშ-სა და საბერძნეთს შორის მიღწეული შეთანხმება ახალ საშიშროებას უქადის კვიპროსს“.

შექმნილ სიტუაციაში კვლავ გამოცოცხლდა ანტისახელმწიფოებრივი ტერორისტული ორგანიზაცია „ეოკა-2“, რომელიც გრივასის სიკვდილის შემდეგ დაშლის პირას იყო მისული. 15 ივლისს გვარდიის ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლა ერთგვარად დააჩქარა მთავრობის ენერგიულმა ზომებმა და განსაკუთრებით 12 ივლისის აქციამ, როდესაც დაპატიმრებულ იქნა ტერორისტთა დიდი ჯგუფი, კერძოდ, რამდენიმე გვარდიის ოფიცერი. მაკარიოსი უკვე შეუდგა გვარდიის, პოლიციისა და სახელმწიფო დაწესებულებათა წმენდას. 14 ივლისს მან კატეგორიულად მოსთხოვა საბერძნეთის მთავრობას, რათა უკან გაეწვიათ კვიპროსის გვარდიის 650 ბერძენი ოფიცერი. ათენმა ეს მოთხოვნა მიუღებლად ჩათვალა, ხოლო 15 ივლისს კი იმავე ბერძენ ოფიცერთა მეთაურობით გვარდია ტანკებითა და არტილერიით დაიძრა პრეზიდენტის სასახლისაკენ.

აღსანიშნავია, რომ სამხედრო ამბოხება კვიპროსზე ძალზე მწვავედ იქნა აღქმული ანკარაში. იმავე დღის თურქეთის მთავრობის საგანგებო სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო მზადყოფნაში მოეყვანა ქვეყნის შეიარაღებული ძალები, ხოლო თავდაცვის მინისტრმა ხ. იშიკმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თურქეთი არ დაუშვებს კვიპროსის საერთაშორისო სტატუსის შეცვლას, ე. ი. თურქეთის მთავრობა კატეგორიული წინააღმდეგია ნებისმიერი ძვრებისა „ენოზისისაკენ“.

რასაკვირველია, ჯერ ნაადრევია იმის თქმა, თუ რა მიმართულებით განვითარდება მოვლენები კვიპროსზე. როგორც ვთქვით, ეს არ წარმოადგენს ლოკალურ პრობლემას და მას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. დღეს ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სამხედრო ამბოხება კვიპროსზე ნატოს და საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ არის ინსპირირებული და იგი ახალ ტრაგედიას მოუტანს კუნძულის მრავალტანჯულ მოსახლეობას — როგორც თურქებს, ისე ბერძნებს.

**ს. ციციაძე,**
პოლიტიკური მიმომხილველი.

## თეთრი სახლის პრეს-მდივნის განცხადება

**ვაშინგტონი, 16 ივლისი. (საქდესი).** თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში ლ. ზიგლერმა განაცხადა, რომ სენატორი ჯექსონი რეკლამას იკეთებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაზე დაუსაბუთებელი თავდასხმების საშუალებით. ამასთან რ. ზიგლერმა დაიმოწმა ჯექსონის მთელი რიგი განცხადებანი, რომლებიც მან ტელევიზიით გააკეთა და რომლებშიც განზრახ ამახინჯებს პრეზიდენტის პოლიტიკას, კერძოდ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის დარგში.

რ. ზიგლერმა აღნიშნა, რომ ჯექსონმა, რომელიც იმეორებს თავის ბრალდებებს, არ ინება გაცნობოდა ოფიციალურ მასალებს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰ. კისინჯერის პრეს-კონფერენციის შინაარსს. ამ პრეს-კონფერენციაზე განმარტეს სენატორის მიერ აღძრული საკითხები. ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როცა სენატორი გაზეთების სათაურებში ხვდება ცრუ ბრალდებების საშუალებით, — თქვა თეთრი სახლის პრეს-მდივანმა.

## როგორ ვასრულებთ ხუცუბნელთა და ტყვიაველთა თაოსნობის საპასუხოდ ნაკისრ ვალდებულებებს?

# მოკვეთილი

### ის, რაც მთასაც არცხვენს და მთიელებსაც

მარტის ბოლო დღეები იდგა, თბილი და ალერსიანი. გაზაფხულის შესახვედრად ემზადებოდნენ ხევსურეთის მთები. ასეთ დროს ადამიანები უფრო მოსიყვარულენი და ალერსიანი არიან, მაგრამ სოფლების ბისოსა და ხახმატის მცხოვრებლებს, რომლებიც ხახმატის ხატში შეკრებილიყვნენ, სრულიადაც არ ეტყობოდათ საგაზაფხულო განწყობილება. ხალხი გაჯავრებული იყო. რაღაცას მოითხოვდა, ვიღაცას ელოდა.

ბოლოს გამოჩნდა მოხუცი ხევისბერი, რომელსაც ცალ ხელში ანთებული კელაპტარი ეჭირა, მეორე ხელით არყით სავსე თასი, მის გამოჩენაზე ხალხი მიყუჩდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— ხალხნო, ქუდოსანნო, — დაიწყო ხევისბერმა, — სმენა იყოს და გაგონება, დღეს ყველას თავი მოგიყრიათ ჩვენი ხატი ბატონის კარზე, ჩვენი ხახმატის ხატის დარბაზის წინ, აქამომდე არც გვინახავს და არც გაგვიგონია ანდერძად, რომ თავის ყმათაგანს ვისმე თავის ბატონისად სამსახური დაეკლო და რითიმე შეერცხვინა, ახლა კი მოვესწარი ასეთ ამბავს. ხახმატის ჯვარს ერთმა უგუნურმა ლაფი ესროლა, მაგრამ კიდევ კარგია, რომ ვერ მიუწვდინა, ჩვენი ბატონი ხატის დროშა უშუქო დარჩა, იმ შაჩვენებულმა, იმ არ გასაჩენმა მთელ ფშავ-ხევსურეთს ჩირქი მოსცხო, რატომ არ მოსტყდა ის მარჯვენა, რომლითაც ის რაიონში ჩვენს საგინებელ წერილებს წერს, რატომ არ დაემრიტა თვალები, რატომ არ გაუშრა ენა, რითაც სოფელზე ათასნაირ ჭორებს ავრცელებს.

— ეგ ხომ ბეწინაა ალუდაური, ჩვენი სამკითხველოს გამგე, მაიკვეთოს ჩვენგან, მაიკვეთოს! — შესძახეს ხევსურებმა.

ხევისბერი კი განაგრძობდა: — სმენა იყოს, ხალხნო! ჩვენო ხახმატის ჯვარო, ჩვენო ბატონო! ჩვენ ვიკვეთთ ჩვენს ერთ დროს ძმად ნამყოფს, დღეს მოღალატეს ღვთისას და ერისას. ერთ დროს ისაც ემსახურებოდა თქვენს დროშას, მაგრამ დღეს შეაგინა ეს დროშა და თქვენი სახელი. შეგინებულ იყოს თვითონ, წყეული, შაჩვენებული და მოკვეთილი!

— ამინ, ამინ! — დაიგრიალა ხალხმა.

— ვინც ამას იქით ბეწინა ალუდაურთან ან გაიაროს მკვდარზე, ან ცოცხალზე, ან თავის სახლში გაატაროს, გზაში შეყრილს სალამი უთხრას, ამ თასივით დაიქცეს იმის ყოფა-ცხოვრება.

— ამინ, დაიქცეს!

მერე ხევისბერმა ანთებული კელაპტარი გააქრო და შესძახა: — ასე გაქრეს იმის სახსენებელი, ღვთისა და ჩვენი ხატის რისხვა გაჰყვეს იმას შვილთაშვილამდე!.

— ამინ, ამინ!

— თანახმანი ხართ?

— ვართ, ვართ!

მკითხველი ალბათ გაკვირვებულია ამ სტრიქონებით და ფიქრობს როდის, რომელ საუკუნეში უნდა მომხდარიყო ეს ამბავი, მით უმეტეს, რომ უკანასკნელი სამოცი-სამოცდაათი წლის მანძილზე ხევსურეთში არავინ არ მოუკვეთავთ, ასეთი ამბავი ფშავში გაგონილა.

მოკვეთის რიტუალი შესანიშნავად აქვს გადმოცემული ვაჟას თავის დრამაში „მოკვეთილი". მეც იქიდან ვისარგებლე, ვინაიდან ბისოელ და ხახმატელ ხევსურთა თავყრილობას მე არ დავსწრებივარ.

დიახ, მოხდა სამარცხვინო ამბავი, — ორი სოფლის ბისოს და ხახმატის მოსახლეობამ, საზოგადოებიდან მოკვეთა ადგილობრივი სამკითხველოს გამგე გიორგი (იგივე ბეწინა) ალუდაური თავისი ოჯახით, და ეს მოხდა მიმდინარე წლის გაზაფხულზე — 1974 წლის მარტში.

თავყრილობამ თავისი გადაწყვეტილება ალუდაურის თემიდან მოკვეთაზე კანონად რომ ჩათვალა, პარტიის დუშეთის რაიკომს მიმართა განცხადებით, რომელსაც ხელს აწერს ბისო-ხახმატის მცხოვრებთა [illegible] წარმომადგენელი.

აი ეს განცხადებაც: მოგმართავთ და მოგახსენებთ სოფლების ბისო-ხახმატის მცხოვრებნი შემდეგზედ: რაზედაც ვიმედოვნებთ, რომ ყურადღებას მოგვაქცევთ და გაგვიწევთ სათანადო დახმარებას. სოფელ ხახმატში მცხოვრები ბეწინა ალუდაური, რომელიც მუშაობს ბიბლიოთეკის გამგედ, ეწევა ათასნაირ ბოროტმოქმედებას, წერს ცილისმწამებლურ საჩივრებს მოსახლეობის მიმართ, რის გამოც მოსახლეობა ყოველ დროს განიცდის მილიციისაგან ოჯახების ჩხრეკას და არევდარევას. აღნიშნული პიროვნება შეუფერებელია თავისი სამუშაოსათვის, არა აქვს საშუალო განათლება... მოგახსენებთ, რომ მისი ცოლი ლელა ალუდაური მუშაობს ფოსტალიონად, არ გვინდა არც მისი მოტანილი ფოსტა, არ გვინდა ის კაცი ბიბლიოთეკის გამგედ. ეს პიროვნება თემის წესით მოკვეთილია ორივე სოფლის მიერ. აღნიშნული სოფლების მცხოვრებნი დიდი ინტერესით ეკიდებიან ბიბლიოთეკას, მაგრამ ბეწინა ალუდაურის ბიბლიოთეკის წიგნები არავის მიაქვს. ამ სოფლებიდან ან წავალთ ჩვენ ორი სოფლის მცხოვრებნი ან გაასახლეთ აღნიშნული პიროვნება, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს არ ვაგებთ კანონის წინაშე. (სტილი უცვლელია).

მდგომარეობა საგანგაშო იყო.

მოკვეთიდან ორიოდე დღის შემდეგ, გუდანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. არაბული ბისო-ხახმატელ დეპუტატებთან მივიდა და განუმარტა მათ, რომ ადათობრივი სამართალი ჩვენს დროში უკანონობად ითვლება და ბეწინა ალუდაურის მოკვეთა არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ მოქმედებად, რომ სოფლიდან მოქალაქის გასახლების საკითხი სახალხო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

რა თქმა უნდა ბევრი ამ განმარტებამ არ დააკმაყოფილა. ისინი კვლავ მოითხოვენ მოკვეთილის გასახლებას.

დიდი ხანია გრძელდება კონფლიქტი ორ სოფელსა და პიროვნებას შორის, ამის შესახებ განცხადებებით მიუმართავთ რაიონის სხვადასხვა ორგანოებისათვის. პარტიის დუშეთის რაიკომში მიიწვიეს ბეწინა და მისი მეზობლები, გამოჰკითხეს განხეთქილების მიზეზი, ურჩიეს, რომ აღარ ედავათ, ამაზე თითქოს თანხმობაც განაცხადეს, მაგრამ საქმეს არ ეშველა, ჩხუბისა და დავიდარაბის მიზეზი მაინც რჩებოდა.

ორი წლის წინათ გუდანის სასოფლო საბჭოსთან არსებულმა ამხანაგურმა სასამართლომ, როცა ბეწინა ალუდაურის საქმეს არჩევდა, გადაწყვეტილებაში ჩაწერა, რომ მან ნამდვილად ცილი დასწამა თავის ნათესავებსა და მეზობლებს ამორალურ საქციელში, სასამართლომ დაადასტურა, რომ იგი ხშირად სვამს სპირტიან სასმელებს და სიმთვრალეში ავრცელებს ათასნაირ ჭორებს, რის გამოც ასე შეაძულა თავი ორ სოფელს, თავის მეზობლებს, ბიძაშვილებსაც კი.

მაგრამ ბეწინამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. სხვა უბედურებას რომ თავი დავანებოთ, ის ორჯერ იყო პატიმრობაში, როგორც ხულიგანი და სისხლის სამართლის დამნაშავე, მაგრამ მას მაინც ვერ იმეტებენ.

ხევსურეთში ქალი უდიდესი პატივისცემით სარგებლობს, ქალის ღირსებას ოდითგანვე იცავს მამაპაპათა ადათ-წესები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც წმიდათა წმინდა კანონი. მთები დიდხანს ინახავენ ძველ ტრადიციებს, ამ მხარეში ქალზე ჭორის გავრცელება, მისი სახელის შებღალვა უდიდეს დანაშაულად ითვლება. როგორც ჩანს, ბეწინა ალუდაური, რომელიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობით მოწოდებულია ხალხში კულტურა და განათლება შეიტანოს, თვითონვე სჩადის ამორალურ საქციელს.

ხევსურებს ეს ვერ აიტანიათ და ვერც აიტანენ.

ამ დღეებში გუდანში გაიმართა სოფლის ყრილობა, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება ხუცუბნელთა და ტყვიაველთა თაოსნობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებანი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების შესახებ. მოხსენება წაიკითხა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ტ. არაბულმა. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ტ. ხუციშვილმა, რაიონის პროკურორმა მ. მამუჩაშვილმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიგანყოფილების უფროსმა შ. კაიშაურმა, პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ბ. არუთინოვმა, სიტყვები წარმოთქვეს ხახმატელებმა გ. და მ. ქეთელაურებმა, თ. ალუდაურმა, მ. ალუდაურმა, უხუცესმა კოლმეურნეებმა გ. ჭინჭარაულმა და ხ. არაბულმა.

გულახდილად ითქვა, რომ ბევრ ხევსურს უკან ეწევა ძველი მავნე ადათ-წესები, რომ ჯერ კიდევ ძლიერია რელიგიის გავლენა მოსახლეობის ჩამორჩენილ ნაწილში. მართალია, თითქმის ყველა სოფელში არსებობს დაწყებითი სკოლები, სამკითხველოები, ბარისახოში მოქმედებს საშუალო სკოლა-ინტერნატი, მაგრამ ბავშვებზე მაინც დიდია ოჯახის გავლენა, სადაც ისინი უსმენენ უამრავ ზღაპრებსა და ლეგენდებს ღმერთებსა და ეშმაკებზე, ხოლო ხატებში — წირვა-ლოცვას, უყურებენ ხევისბერთა მოქმედებას, ყველაფერი ეს მაჯლაჯუნასავით აწვება მოზარდის სულს. სწორედ ამან იმსხვერპლა ორი წლის წინათ ბარისახოს საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლის შ. ჭინჭარაულის მომავალი, რომელმაც სისხლის აღების ნიადაგზე მამის ტოლი კაცი მოკლა.

ამას წინათ ბერდია ჭინჭარაულმა გულის არეში მძიმე ჭრილობა მიაყენა თავისსავე სიძეს გ. არაბულს. მერე და რაზე? იმაზე, რომ გ. არაბულმა ხევსურული ტრადიცია დაარღვია — ახლადწაყვანილ მეუღლეს თვითონ მიჰყვა სიმამრთან შესარიგებლად.

მეტად სამარცხვინოა, რომ ზოგიერთ სოფელში გახშირდა მეზობლური დავისა და კინკლაობის შემთხვევები. სოფელ აჭნილში მიწის ნაკვეთზე გაუთავებლად დაობენ ბაბა და ბაჭყურა არაბულები, სოფელ როშკაში კი — ბერდია და მისა წიკლაურები, ზენტეჩოში — ხვთისო და მისა არაბულები. სოფელში გახშირდა ლოთობა.

ჟამგადასული, დრომოჭმული ტრადიციები უბრძოლველად როდი სთმობენ პოზიციებს. კაცმა რომ თქვას, მათ აქტიურად არც არავინ ებრძვის. სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ორი სამკითხველო არსებობს, დიახ, რომ მხოლოდ არსებობს და, ბეწინას მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ისინი ბევრს არაფერს აკეთებენ ძველის წინააღმდეგ. სამაგიეროდ მათ მეტოქეობას უწევს ხახმატის, გუდანის ხატები და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი ხატი და სალოცავი. ეს მაშინ, როცა იშვიათად ან წელიწადში მხოლოდ რამდენჯერმე უჩვენებენ კინოსურათს,

მომეწონა ხევსურთა პირდაპირობა და მოურიდებელი კრიტიკა ბეწინას მისამართით. კრიტიკულ სიტყვებს ყრილობაზე პირში რომ ეუბნებოდნენ, მე ყურადღებით ვაკვირდებოდი მოკვეთილს, მინდოდა მის სახეზე სირცხვილის სიწითლე დამენახა, მაგრამ ვერ შევძელი....

რაიონის ხელმძღვანელები შეეცადნენ შეერიგებინათ მოწინააღმდეგენი, ერთმა-ორმა კაცმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვა კიდეც, ამის შემდეგ უხიამოვნება აღარ გვექნებაო, მაგრამ დარწმუნებული ვართ, საქმე ამ შერიგებით არ გამოსწორდება, რადგან უკმაყოფილებისა და მთელი ამ შფოთის მიზეზი კვლავ ძალაში რჩება.

პარტიის დუშეთის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა, რაიონის კულტურის განყოფილებამ, ყველამ, ვისაც გულთან ახლოს უნდა ჰქონდეს ამ მთიანი მხარის ჭირი და ლხინი, უფრო ქმედითად უნდა მოჰკიდონ ხელი ძველი მავნე ადათ-წესების წინააღმდეგ ბრძოლას, ყოველმხრივ უნდა გააძლიერონ მოსახლეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, ებრძოლონ რელიგიის გადმონაშთებს, დარაზმონ ადამიანები სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად. ბეწინა ალუდაურისთანა „კულტმუშაკებმა" კი დროა ადგილი დაუთმონ ახალგაზრდებს, განათლებულ მთიელებს, რომლებიც არც ისე ცოტანი არიან ამ მხარეში.

ა. თომაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

### შემთხვევა

## ბრძოლა სიცოცხლისათვის

ზაფხულის მზიანი დღე იყო. ქარი ტყიბულჰესის წყალსაცავის ტალღებს ეთამაშებოდა. ნაპირზე ონავარ ბავშვებს თავი მოეყარათ და ერთობოდნენ. ვინ ცურავდა, ვინ კიდევ სილაზე გაწოლილი მზეს ეფიცხებოდა.

— მოდით, ბიჭებო, მორი შევაცუროთ წყალში და ზედ დავსხდეთ, — წამოიძახა ერთმა...

ბავშვებმა დიდი ვაივაგლახით მოაგორეს მორი, წყალში შეაცურეს. ტალღებმა სიღრმეში ჩაითრია მორი და ზედ მჯდარი ბავშვი, სოფელ დაბაძვლის რვაწლიანი სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე ამირან ვაჟას-ძე ცირეკიძე.

ნაპირზე დარჩენილნი შეშინდნენ, საჩქაროდ ტანსაცმელი ჩაიცვეს და მოჭუსვლა დააპირეს. ამ საბედისწერო წუთებში საწირის კოლმეურნეობის ბრიგადირი რუბენ გვენეტაძე და მერგოლური მიტუშა ცირეკიძე ჩაის პლანტაციებს ათვალიერებდნენ. მათ შორიდან მოჰკრეს თვალი ამ საშინელ სურათს. თვალის დახამხამებაში ისინი საგუბართან გაჩნდნენ. დაყოვნება არ შეიძლებოდა. პირველად ბრიგადირი გადაეშვა წყალში.

კარგა სიღრმეში რომ შეცურდა, მამაცი ადამიანი როგორც იყო მორს დაეწია, რომელსაც ბავშვი შემოხვეოდა. რუბენმა ხის მორი შემოაბრუნა და წყლის დინების საწინააღმდეგოდ მიმართა. იგი ცალი ხელით ტალღებს ებრძოდა და ცალითაც მორს ნაპირისაკენ აწვებოდა.

ახლა მერგოლური ჩაება ბრძოლაში. დიდხანს გაგრძელდა წყალთან ბრძოლა. იგი მამაცი ადამიანების გამარჯვებით დამთავრდა. გონდაკარგული ბავშვი და მისი დაქანცული მშველელები სამშვიდობოზე გამოვიდნენ, მაგრამ სიცოცხლისათვის ბრძოლა ამით როდი დამთავრდა. პატარა ამირანს კვლავ შველა სჭირდებოდა, იგი სიკვდილს ებრძოდა. ბრიგადირმა და მერგოლურმა ბავშვს პირველი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

### აქ ისვენებენ თბილისელები

კუს ტბა თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახდა. სულ ორ-სამ წუთში საბაგირო გზის ვაგონი ვაკის გამარჯვების პარკიდან მიგიყვანთ მწვანით შემოსილ ლამაზ ტბამდე.

სურათებზე: (მარცხნიდან) — საბაგირო გზის ვაგონი კუს ტბისაკენ მიდის; სასპორტო მოედანზე დამსვენებლებს შეუძლიათ ფრენბურთი ითამაშონ; ტბის წყნარ ზედაპირზე ნავები დასრიალებენ.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

## ბოლნისის წყალი

ბოლნისი. (საქ. კორ.). „ბოლნისის წყალი" — ასეთი ეტიკეტი გაუკეთეს ამ დღეებში ჩამოსხმულ მინერალურ წყალს, რომელზეც უკვე დიდ მოთხოვნილებას აყენებენ მოსკოვის, ლენინგრადის და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მშრომელები. მათთვის გაიგზავნა კიდევაც პირველი პარტია.

ბოლნისის მინერალური წყალი, რომელიც სოფელ რაჭისუბანში იქნა აღმოჩენილი, ეკუთვნის ნარზანის ტიპის წყლებს და მას იყენებენ ავადმყოფთა სამკურნალოდ როგორც აბაზანების სახით, ისე სასმელადაც. „ბოლნისის წყლით" მკურნალობენ კუჭის წყლულს და გულსისხლძარღვთა დაავადებებს.

ამ დღეებში აქ ექსპლოატაციაში გადაეცა წყლის ჩამომსხმელი ქარხანა.

## პატარების წვლილი

### არდადეგების დღეებში

გამოცდები რომ დაამთავრეს, მერვე და მეცხრეკლასელები ცხოვრებამ კიდევ ერთი გამოცდის წინაშე დააყენა — მეხუთე შრომითი მეოთხედი დაიწყო და ყმაწვილებმაც მხარი უსწორეს მეცხრე ხუთწლედის მხვნელ-მთესველებს — ნოლქის საბჭოთა მეურნეობის ზვრებს მიაშურეს სამუშაოდ.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის წევრებს ყოველ დილით ავტომანქანა აკითხავს — ერთად, მხიარული საუბრითა და სიმღერით მიემგზავრებიან სიმინდის ყანასა თუ ბოსტანში. პირველად სიმინდის გათოხნა დაავალეს: კარგად დაიწყეს მუშაობა, მაგრამ მოულოდნელად ხახვის მოსავლის ასაღებად გადაიყვანეს. აქაც იყოჩაღეს და პირველსავე დღეებში მოსწავლეებმა ბეჯითი და მუყაითი ახალგაზრდების სახელი დაიმსახურეს.

სიმინდის თოხნას კიტრის ნათესების სარეველებისაგან გაწმენდა მოჰყვა, შემდეგ — ჩაის ფოთლის კრეფა. პირველსავე დღეს 35-მა ყმაწვილმა 200 კილოგრამი „მწვანე ოქრო" ჩააბარა მწონავს.

მოსწავლეები დღეში მხოლოდ რამდენიმე საათს მუშაობენ, დანარჩენი დრო გართობასა და დასვენებას ხმარდება. ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოსწავლეობის ასაკში, ეჩვევა შრომას, პრაქტიკულად იგებს, რომ ყოველივე მშვენიერისა და კარგის სათავე არის საერთო, კოლექტიური გარჯა. სწორედ ეს აძლევს მათ შრომას დიდ სტიმულსა და მონდომებას.

როცა ქობულეთის მე-3 საშუალო სკოლის მერვეკლასელ გოგონას, ქეთინო ჩხარტიშვილს გავესაუბრეთ და ვთხოვეთ შრომის მოწინავეები ჩამოეთვალა, მან მორცხვად გაიღიმა და მითხრა: — აბა ვინ გამოვყო, ყველანი ერთნაირად ვმუშაობთ.

კოლექტიურობის ეს განცდა ძალზე მოსაწონია. ჩანს ამ თვისებასაც საერთო შრომამ ჩაუყარა საფუძველი.

ბარაქალა მათ პატარა, მაგრამ გამრჯე მარჯვენას, ისინი ხომ საქმით ამართლებენ დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მიერ კომკავშირის III ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვებს, რომ ახალგაზრდობა ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში, უნდა ყოველდღიურად პრაქტიკულად სწყვეტდეს საზოგადო შრომის თუნდაც სულ მცირე ამოცანას. შრომისმოყვარე და მუყაითია ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობა — ამის თავდებია მათი წვლილი მეცხრე ხუთწლედის დიდ საქმეებში!

გ. ბახტაძე.

### ჩვენს დედაქალაქში

## ზოოპარკის ავ-კარგი

ზამთარ-ზაფხულ მუდამ მრავალი მნახველი ჰყავს თბილისის ზოოლოგიურ პარკს. უფროსებთან ხელიხელჩაკიდებული პატარები თვალებგაფართოებული შესცქერიან მათთვის კარგად ცნობილ მგელსა და დათუნიას, ვეფხვსა და მაიმუნს.

კვლავ ერთად არიან ბებერი ლომი და თეთრი ცუგა, რომელიც საკმაოდ გაზრდილა. ახლა ის გაავებული უყეფს გალიასთან ახლოს მისულთ, ლომს კი მობეზრდა ცნობისმოყვარეთა ყურება და ზანტად დაიზლაზნება...

ცხოველთა სამყაროს ბევრ იშვიათ წარმომადგენელს ნახავთ ამ უძველეს ზოოლოგიურ პარკში, მაგრამ ამ შემთხვევაში წერილის მიზანს მათი ჩამოთვლა და გაცნობა არ შეადგენს. მინდა მოგითხროთ იმ გულისტკივილზე, რომელიც პარკის მესვეურებმა გაგვიზიარეს.

წლების განმავლობაში ზოოლოგიურ პარკს არა აქვს სათანადო, სპეციალურად ასეთი პარკებისათვის გათვალისწინებული სიმაღლის ღობე, ურომლისოდაც ქალაქის ცენტრში პარკის არსებობა სახიფათოა. ამის თაობაზე ჩვენ ამ ორიოდე წლის წინათ კიდევაც დავწერეთ „კომუნისტში", მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

თუ დაათვალიერებთ პარკის ტერიტორიას, ნახავთ, რომ აქ კვლავ ის ძველებური შენობები და ვოლიერებია... პარკის ტერიტორია შემცირებული და კეთილმოუწყობელია. რატომ?

— უკვე წლების განმავლობაში გვესმის, რომ გადაწყვეტილია ზოოლოგიური პარკის გადატანა ლისის ტბის მიდამოებში, — გვითხრა პარკის დირექტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ვეტექიმმა გ. გუმბერიძემ. — ამან ჩვენს პარკს დიდი ზარალი მიაყენა. შევიმცირეთ ტერიტორია, შეწყდა კაპიტალური მშენებლობისათვის დაფინანსება, შემცირდა სახსრები მიმდინარე რემონტზე, რის გამო მძიმე პირობებში აღმოვჩნდით.

ეს მდგომარეობა წელს ნაწილობრივ გამოსწორდა. გავიყვანეთ ცენტრალური გათბობა, გვაქვს ცხელი წყალი. ახლა თავს უკვე ლაღად გრძნობენ ცხელი ქვეყნის შვილები. მომსახურე პერსონალისთვისაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამუშაო პირობები. გავაშენეთ ორანჟერეა. აქ გამოყვანილი ყვავილებით წელს გაზაფხულზე მთელი პარკი მოვრთეთ.

პარკის ტერიტორიაზე თითქმის მთლიანად შევცვალეთ კანალიზაციის და წყალგაყვანილობის ქსელი, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ვცვლით ელექტროგაყვანილობას, მთლიანად მოვხრეშეთ და მოვასფალტეთ შიდა გზები. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი მაინც არ არის, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. უნდა შეკეთდეს ცხოველთა სადგომები, მოეწყოს ბავშვთა გასართობები. მთავრდება მონტაჟი სპეციალური გალიისა, სადაც გვინდა სხვადასხვა მოზარდი ცხოველები ერთად დავაბინაოთ. შენობაში უკვე ერთად გვყავს ძაღლის ლეკვი, მელაკუდა, მამალი, კუ, ციკანი, ბატკანი, კურდღელი, ზღვის გოჭი და სხვა მოზარდები, ვაკვირდებით მათს ყოფას. სხვა ცხოველებზე დაკვირვებაც ბევრ საინტერესო მასალას გვაძლევს. ვფიქრობთ, მოზარდი ცხოველების ერთ გალიაში ნახვა ჩვენს პატარებს დიდად გაახარებს, მით უმეტეს, რომ ისინი ჩვენი ხშირი სტუმრები არიან. ტრანსპორტის მხრივ ზოოლოგიურ პარკს მეტად მოხერხებული მდებარეობა აქვს. ამის მეოხებით დამთვალიერებლები მუდამ ბევრი გვყავს. განსაკუთრებით არდადეგების დღეებში და ზაფხულში. პარკი ხომ ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი ადგილია.

საინტერესო სანახაობაც ბევრი ელით ჩვენს სტუმრებს. ცხოველთა სამყაროს ზრდის კარგი მონაცემები გვაქვს. თუ 1973 წლის ბოლოსათვის გვყავდა 150 სახეობის ცხოველი, ამჟამად თბილისის ზოოპარკში 175 სახეობის ცხოველი ბინადრობს. ვაშენებთ ახალ ვოლიერებს. მოკლე ხანში ჩლიქოსან ცხოველთა ახალი სამი ვოლიერი ჩადგება მწყობრში. ვაშენებთ დიდ სათივეს, რომ ზამთრისათვის ცხოველებს ჰქონდეთ ხარისხიანი საკვები პროდუქტი.

მწვანე, ვიტამინებით მდიდარ საკვებს დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოველთა ნორმალური განვითარებისათვის. წლების განმავლობაში ამ საკვების ნაკლებობის გამო ჩვენი ცხოველები ვერ იცვლიდნენ ქურქს. გადავწყვიტეთ ზაფხულის პერიოდში მწვანე საკვები მივცეთ ცხოველებს, რისთვისაც ადგილზე შევქმენით მწვანე საკვების მომპოვებელი ბრიგადები.

როგორც მოგეხსენებათ, პარკი გაშენებულია ვერის ხეობის ტაფობში. ეს ტერიტორია ზამთარში ქარებისაგან დაცულია, რაც ცხელი ქვეყნის შვილებს სიცივეებისაგან იფარავს, ამ ხეობის აუთვისებელი ბუნებრივი ლანდშაფტები იძლევა იმის სრულ შესაძლებლობას, რომ ხეობაში გაშენდეს ზოოლოგიური პარკი თანამედროვე ზოოპარკებისათვის გათვალისწინებული არქიტექტურული წესების დაცვით. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ ტერიტორიაზე გაშენდება ტყე-პარკი, შესაძლებელი იქნება ორივე პარკის ურთიერთშერწყმა. მდინარე ვერეს სანაპიროების კეთილმოწყობა, ამ წყლის გაფილტვრა, გაწმენდა დიდ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემს. შესაძლებელი გახდება გამოვიყენოთ მდინარის წყალი ცხოველთა სასმელად, აუზების გასარეცხად და ასავსებად. მომავალში კი, თუ ვერეს ხეობის კეთილმოწყობის საკითხი დადებითად გადაწყდება, წყლის სანაპირო შეიძლება გადავაქციოთ შესანიშნავ დასასვენებელ ადგილად.

1977 წელს ზოოლოგიურ პარკს არსებობის 50 წლისთავი უსრულდება. ამ თარიღისათვის პარკის მეცნიერ-მუშაკები, თანამშრომლები სპეციალურად ემზადებიან. მათ იმედი აქვთ, რომ სათანადო ორგანიზაციების დახმარებით არსებული ნაკლოვანებები გამოსწორდება და თბილისის ზოოლოგიური პარკი კვლავ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

ლ. ხუგულური.



სურათებზე: თბილისის ზოოპარკის მკვიდრნი — თვინიერი შველი (ზემოთ) და თეთრი დათვი, რომელიც ვერა და ვერ შეგუებია რკინის გალიას.

ხ. პილაძის ფოტო.

## გამარჯვებული სიმღერები

შეჯამებულია საუკეთესო საესტრადო ნაწარმოებებისათვის — სიმღერისა და საორკესტრო პიესებისათვის კონკურსის შედეგები. კონკურსი გამოაცხადეს რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს კულტურის სამინისტრომ.

ჟიურის გადაწყვეტილებით საესტრადო სიმღერის დარგში პირველი პრემია არავის არ მინიჭებია.

მეორე პრემიებით დაჯილდოვდნენ საესტრადო სიმღერები: კომპოზიტორ გ. ყანჩელის „ვარდობისთვე" (სიტყვები პ. გრუზინსკისა), ნ. მამისაშვილის „სიყვარული ვარ" (სიტყვები მ. ფოცხიშვილისა) და შ. მილორავას „ლამაზმანები გალობენ" (სიტყვები ი. ნონეშვილისა).

მესამე პრემიებით აღინიშნა კომპოზიტორ ს. ნასიძის ორი სიმღერა — „ახალგაზრდული" (სიტყვები მ. ფოცხიშვილისა) და „ლირიკული დუეტი" (სიტყვები ხალხური). მესამე პრემია დაიმსახურეს აგრეთვე შ. მილორავას ორმა ნაწარმოებმა — „სიმღერამ საქართველოზე" (სიტყვები ხ. ბერულავასი) და „საქართველოს სადღეგრძელომ" (სიტყვები ხ. სმირნოვისა), და ჯ. კახიძის სიმღერამ „სატრფიალომ" (სიტყვები ლ. ჭუბაბრიასი).

გამარჯვებული ნაწარმოებები დასახელებულია საესტრადო ორკესტრების საინსტრუმენტო პიესების დარგშიც. პირველი პრემია აქაც არავის არ მინიჭებია.

მეორე პრემია მიენიჭა კომპოზიტორ გ. ყანჩელს პიესისათვის „მუსიკალური მომენტი". მესამე პრემიით აღინიშნა კომპოზიტორ შ. მილორავას ნაწარმოები „მხიარული განწყობილება".

კონკურსის ჟიურიმ შესრულების რეკომენდაცია მისცა კომპოზიტორ გ. ციციშვილის პიესას „მე ის პატარა ნაკადული ვარ" (სიტყვები მ. ფოცხიშვილისა) და კომპოზიტორ ჯ. კახიძის „ლირიკულ დუეტს" (გალაკტიონის ლექსის მიხედვით). (საქინფორმი).

## „საქართველოს აგიტატორი" №14

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის" მორიგი, მეთოთხმეტე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება სარედაქციო კონსულტაციით, აქვეა დაბეჭდილი ი. ციკოლიას, ნ. ჩიგოგიძის, დ. მანჯგალაძის, ა. იმედაძის, გ. ქადაგიძის, ვ. მეშველიანის, ნ. ბახსოლიანის, ი. ტაბიძის წერილები და სხვა საინტერესო მასალები.

### ფეხბურთი

## გუშინ ლუჟნიკში...

გუშინ მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" გუნდები. ეს იყო „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩი.

თამაშის 67-ე წუთზე სპარტაკელებმა მიაღწიეს მიზანს. ბურთი თავური დარტყმით გაიტანა პისკარიოვმა — 1:0. ეს თბილისელთა მეოთხე დამარცხებაა მიმდინარე გათამაშებაში.

აი როგორი შემადგენლობით თამაშობდნენ დინამოელები: გაგოშიძე, გ. მაჩაიძე, კანთელაძე, ჭელიძე, გავაშელი, მჭედლიშვილი, ჩივაძე, ასათიანი, წერეთელი, ქანთარია (გ. ნოდია), ლ. ნოდია.

## ლიდერის დამარცხება

გაიმართა „ა" კლასის პირველი ლიგის საკავშირო პირველობის მორიგი მე-18 ტური. გათამაშების ლიდერმა ბაქოს „ნეფტჩიმ" წააგო სიმფეროპოლში „ტავრიასთან" — 0:1, ხოლო როსტოვის სკა-მ კემეროვოში დაამარცხა „კუზბასი" — 1:0.

ქუთაისის „ტორპედო" ასპარეზობდა ივანო-ფრანკოვსკში ადგილობრივ „სპარტაკთან". მეტოქეებმა ბურთი ვერ გაიტანეს — 0:0.

ამრიგად, პირველი წრის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გათამაშებას 24-24 ქულით ლიდერობენ „ნეფტჩი" და სკა. მათ ერთი ქულით ჩამორჩება კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი" და ორით — მინსკის „დინამო".

ქუთაისის „ტორპედო" 19 ქულით (7 მოგება, 5 ფრე, 6 წაგება) მე-10 ადგილზეა. პირველ წრეს ტორპედოელები ამთავრებენ 20 ივლისს, ხვდებიან სიმფეროპოლის „ტავრიას".

### სპორტი

## ჭადრაკის დაფებთან

### თბილისი...

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს გუნდური პირველობა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეჯგუფებში გამარჯვებულები თბილისისა და აფხაზეთის გუნდები. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2,5:1,5.

მე-3 ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისისა და აჭარის გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. დებულების თანახმად საპრიზო ადგილი მიეკუთვნა ქუთაისელებს, რომლებსაც პირველ დაფაზე გამარჯვება ჰქონდათ მოპოვებული.

პირველ დაფაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა ტუზოვსკის — 5 ქულა 6 შესაძლებლიდან, მეორეზე — ჩიქოვანს — 6 ქულა (აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი) მესამეზე — მიქაძეს — 5,5 ქულა და მეოთხეზე — ჩხიკვაძეს — 5,5 ქულა.

### ლიუბლინი...

პოლონეთის ამ ქალაქში სტარტი აიღო საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც რამდენიმე საბჭოთა მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის გროსმაისტერი მიხეილ ტალი და თბილისელი ოსტატი თამაზ გიორგაძე. პირველ ტურში ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. გაიმარჯვა მსოფლიოს ექსჩემპიონმა.

შეჯიბრებაში გამოდიან აგრეთვე ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეები.

### ზოლინგენი...

დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ექვსი ტურის შემდეგ პირველ სამ ადგილს იყოფენ საბჭოთა გროსმაისტერი პოლუგაევსკი, კაპელანი და გერუზელი (ორივე — გფრ), რომლებმაც ოთხ-ოთხი ქულა მოაგროვეს. სამ-სამი ქულა აქვთ მსოფლიოს ექსჩემპიონს სპასკის და ულმანს (გდრ).

მეექვსე ტურში პოლუგაევსკიმ დაამარცხა ვესტერინენი (ფინეთი), ხოლო სპასკიმ ყაიმი გააკეთა კლემენსთან (გფრ).

წინ კიდევ 9 ტურია.

### ტისაიდი...

28 ქვეყნის მოჭადრაკეები მონაწილეობენ სტუდენტთა 24-ე მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც 16 ივლისს დაიწყო ინგლისის ამ ქალაქში. ამ ტურნირის 14-გზის გამარჯვებულმა სსრ კავშირის ნაკრებმა (ვაჰანიანი, ბალაშოვი. ბელიავსკი, რომანიშინი, სათადარიგონი — კუპრეიჩიკი და პალატნიკი), რომელიც „ა" ჯგუფში გამოდის, დაამარცხა იაპონიის გუნდი — 4:0. საბჭოთა და იაპონელ მოჭადრაკეებთან ერთად ამ ჯგუფში გამოდიან უელსის, ფინეთისა და ისლანდიის გუნდები.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

## ტელევიზია

### 18 ივლისი

**პირველი პროგრამით**

10.05 — ფერადი ტელევიზია: დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. მოსწავლეთათვის „ნორჩების შემოქმედება", 11.00 — „ეკრანზე კინოკომედია" — მხატვრული ფილმი „პირველი ხელთათმანი", 12.30 — „ცეცხლოვანი წლების ხსოვნა" (გადმოცემა ვილნიუსიდან), 13.00 — მხატვრული ფილმი „შავი კაპიტანი", 16.30 — „ქართველ მეჩაიეებთან" — სატელევიზიო ნარკვევი (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.45 — მეცნიერება წარმოებას, 17.00 — კინოპროგრამა, 17.15 — „სამი შეხვედრა" — (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — განცხადებები, 18.05 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ცოცხალი თავდადებული" II სერია (ქართულ ენაზე), 18.40 — შეხვედრა ამტერიერებთან, 19.25 — „ალოობა კახეთში", 19.40 — „სატირული გრაფიკა" — დონი, 20.00 — ჩაიკოვსკის სახელობის მეხუთე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატთა კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — „რეპორტაჟი მოძმე რესპუბლიკების კინოსტუდიებიდან", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სპორტული პანორამა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „შეხვედრა ფეიქრებთან", 23.45 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით**

18.35 — ტელეფილმი, 19.15 — განცხადებები, 19.35 — კინონარკვევი, 19.55 — ქორეოგრაფიული სასწავლებლის კონცერტი, 21.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: მხატვრული ფილმი „მამაკაცები".

## რადიო

### 19 ივლისი

**პირველი პროგრამით**

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ვ. გომოლიაკა. სუიტა ბალეტიდან „შავი ოქრო", 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „მოგითხრობთ კომუნისტებზე", 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — მღერის ქალთა ვოკალური ტრიო, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — შ. ბელოვანის ლექსები, 12.30 — დ. სკარლატი. სონატები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიურო ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ა. არენსკი. ფანტაზია რიაბინინის ბილინების თემებზე, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება" — კონცერტი ა. შანიძის, თ. შავლოხაშვილისა და გ. ჩლაიძის ნაწარმოებებიდან, 17.40 — მოსწავლეთათვის. ო. იოსელიანის მოთხრობები, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.05 — ქართველ კომპოზიტორთა საორკესტრო პიესები, 18.45 — ხ. ტულიკოვი. სიმღერები, 19.00 — „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა", 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.45 — რ. ლაღიძე. კამერული ნაწარმოებები, 20.20 — ა. გლაზუნოვი. ნაწყვეტები საორკესტრო სუიტიდან „შოპენიანა", 20.45 — „სტუდენტურ შრომით ბანაკებში — სანიმუშო სანიტარული წესრიგი". რეიდის მასალები, 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — პ. ჩაიკოვსკი. ნაწყვეტები ოპერიდან „ევგენი ონეგინი", 22.00 — რ. ჯაფარიძე. „მარტის თეთრი ღამეები". ნაწყვეტი მოთხრობიდან, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

[illegible]

კომუნისტი
380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები — 99-93-63, 99-03-09, პ/მ მდივანი — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებები: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 93-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443
უე [illegible]
საქ. კპ. გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.